# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 მარტი 2003 №37 (1808) | ფასი 50 თეთრი




# საქართველოს ნაკრები ახალი სახელი: ლოკომოტივი

# ახალი სახლი

## ფიფას შემოვევლეთ, ბაზა შენდება

ირლანდიასთან მატჩამდე სამიოდე კვირით ადრე როგორც იქნა გადაწყდა, რომ კუნძულელებს, მერე კი შვეიცარიელებსაც და რუსებსაც საქართველოს ნაკრები „ლოკომოტივის" სტადიონზე უმასპინძლებს. ფეხბურთის ფედერაცია და სტადიონის მეპატრონე რკინიგზის დეპარტამენტი შეთანხმდნენ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ მის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძეს გაუგზავნა, რომელმაც დოკუმენტს საბოლოო სახე გუშინ საღამოს მისცა. აქვე შევნიშნოთ, რომ თავად კონტრაქტის ზოგიერთი ფინანსური დეტალი გასაიდუმლოებულია, თუმცა გვარწმუნებენ, დროებითო.

როდის იყო, ჩინოვნიკები ხალხს ფულში ახედებდნენ, ამიტომ ის ვთქვათ, რაც კონტრაქტის შემდგენელებმა საჯაროობისთვის გაიმეტეს.

ბილეთების დაბეჭდვა და გასაღება მთლიანად რკინიგზელებმა იკისრეს და აქედან მიღებული შემოსავალიც მათ დარჩებათ, ფედერაციას მხოლოდ განსაზღვრულ, ფიქსირებულ თანხას გადაუხდიან, რომლის ოდენობას, ცხადია, საგულდაგულოდ მალავენ. ხოლო მათ, ვინც ივარაუდა, რომ 12 ოქტომბერს შუქი ჩაქრებოდა, რუსეთთან მატჩი გადათამაშდებოდა და სტადიონზე შესვლის მერე ბილეთის გადაგდება არ იჩქარა, რკინიგზის დეპარტამენტი ახალ ბილეთში გადაუცვლის.

თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფრის გარკვევის მერეც ბლომად გაურკვევლობანი რჩება. თუნდაც ეს: რატომ დაუთმო ფედერაციამ რკინიგზის დეპარტამენტს ამ სამი თამაშის ჩატარების უფლება, მაშინ როცა შეეძლო ოდენ სტადიონის იჯარა გადაეხადა. ვინძლო მეტად ჩახლართულ ფინანსურ გარიგებასთან გვაქვს საქმე.

ამასთანავე კვლავაც გაურკვეველი რჩება 12 ოქტომბრის ჩაშლილი მატჩით მიყენებული 200 ათასი ლარი ზარალის გამსტუმრებლის ვინაობა.

თუმცა, ჯანდაბას, ქომაგისთვის უმთავრესი საქართველოს ნაკრების გამარჯვებაა. სხვათა შორის, რკინიგზის დეპარტამენტისთვისაც, რაკი ჩივაძის გუნდმა ირლანდიასთან და შვეიცარიასთან თუ წააგო, ვინძლო სარუსეთოდ საკუთარი თანამშრომლებისთვის დაჭირდეთ ხვეწნა, ჩაწოლილი ბილეთები იყიდეთო.

ამასობაში კი, ნუ გაიკვირვებთ და, რაღაც სახეიროც კეთდება — ნაკრების ახალი ბაზის მშენებლობა გრაფიკს ცოტათი კი ჩამორჩა, მაგრამ მაინც ნორმალური ტემპით მიდის და როგორც სადღეისოდ ჩანს, კარგიც უნდა გამოვიდეს. ოღონდ შიგ როგორ ხასიათზე მყოფები შეაბიჯებენ, საკითხავი ეგაა. ბაზის გახსნას 26 მაისს აპირებენ და ვაითუ იქამდე საქართველოს ნაკრები ჯგუფში ჩასარჩენად განწირული იყოს.

ისე, ძველ დროში ახალი შენობის, ქარხნის თუ სხვა რამის გახსნა აუცილებლად 7 ნოემბრისთვის, 1 მაისისთვის და მსგავსი ბოლშევიკურ-სადღესასწაულო თარიღებისთვის უნდა დაემთხვიათ. ახლა 26 მაისია მოდაში, რითაც ეროვნულობაზე მიგვანიშნებენ, მაგრამ რაღაცის რაღაცისთვის დამთხვევის პრინციპს ვერ გასცდნენ. რაღა შორს წავიდეთ, სამი წლის წინანდელ 26 მაისს „ლოკომოტივის" გახსნაზე მისულ ხალხს თავი საშვიდნოემბრო აღლუმზე ეგონა, ერთი „საიუზ ნერუშიმილა" აკლდა.

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი XXXV ტური**

ბრედფორდი 0:0 ლესტერი
ჯილინგემი 1:4 ნოტინგემი
გრიმზბი 1:4 შეფილდ იუნ.
მილუოლი 1:1 ბარნლი
როთერჰემი 0:0 უოლსოლი
უოტფორდი 0:1 პრესტონი
უიმბლდონი 2:1 პორტსმუთი

**მეორე დივიზიონი XXXV ტური**

ბლეკპული 1:2 ბარნსლი
ბრენტფორდი 0:2 კარდიფი
ბრისტოლი 2:0 ოლდემი
კოლჩესტერი 2:0 ნორთჰემპტონი
ქრიუ 4:2 უიკომბი
ჰადერსფილდი 0:3 ქუინზ პარკი
მენსფილდი 3:2 ლუტონი
ნოტსი 1:0 პორტ ვეილი
პლიმუთი 6:1 პიტერბრო
სტოკპორტი 2:1 ჩესტერფილდი
უიგანი 0:0 ტრანმერი

**მესამე დივიზიონი XXXV ტური**

დარლინგტონი 2:1 იორკი
ბერი 0:1 როვერსი
კემბრიჯი 2:2 როჩდეილი
ექსეტერი 1:0 რექსემი
კიდერმინსტერი 1:0 საუთენდი
ლინკოლნი 3:0 ჰარტლპული
მაკლსფილდი 0:1 ჰალი
ოქსფორდი 0:2 ლეიტონი
რაშდენი 2:1 ბორნმუთი
სუონსი 0:0 ბოსტონი

## გერმანია

**თასის 1/2 ფინალი**

კაიზერსლაუტერნი 3:0 ვერდერი

## ბელგია

**თასის 1/2 ფინალი. 1 მატჩი**

ლომელი 3:2 ლუვიე

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

ვეენდამი 1:2 იგლსი

**თასის 1/4 ფინალი**

ექსელსიორი 1:3 უტრეხტი

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ეარი 0:1 სენტ ჯონსტონი
ფოლკირკი 3:0 კლაიდი
ინვერნესი 2:0 არბროთი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

კოუდენბითი 0:1 ჰამილტონი
ფორფარი 2:2 ბერვიკი
რეითი 3:0 სტრანრაერი
ბრეჩინი — სტენჰაუზმური გადაიდო

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ალბიონი 3:0 მონტროუზი
ისტ ფაიფი 2:1 გრეტნა
პიტერჰედი 6:0 სტირლინგი

## პორტუგალია

**პირველი ლიგა XXIV ტური**

ბენფიკა 0:1 პორტუ

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

ლავალი 1:0 კრეტეი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

სენტ ეტიენი 0:2 *მარსელი*

## შვეიცარია

**თასის 1/8 ფინალი**

ბაზელი 2:0 სერვეტი

## თურქეთი

**თასის 1/4 ფინალი**

გალათასარაი 1:2 *მალატია*



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ვერდერი. ბრემენელმა ფრანკ ვერლაატმა მასპინძელთა მეგოლე მიროსლავ კლოზეს ყელში წაუჭირა

*სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პარასკევს სტადიონზე გამართული თავყრილობის შემდეგ ჟურნალისტების გარდა რკინიგზის დეპარტამენტის შეფ აკაკი ჩხაიძესაც აარიდა თავი. ჩოლარიამ მოულოდნელად და საჩქაროდ დატოვა „ლოკომოტივი“.*

*გენერალური მდივნის ეფექტურ ფინტს რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებდით, ჩოლარიას ბევრ კითხვაზე ჰქონდა პასუხი გასაცემი და ფედერაციაში ვესტუმრეთ. მიუხედავად ხუმრობანარევი მუქარისა, სფფ-ის ჩინოსანს მორიგი ფინტი არ გამოუვიდა — შედგა ინტერვიუ, რომელმაც სფფ — „ლოკომოტივის“ ურთიერთობის ახალი დეტალები გამოკვეთა.*

*ეს ნონსენსია — ამ სიტყვებით შეაფასა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რკინიგზელთა მოსაზრება. „ფედერაციას სურს, ლეგიონერთა, მსაჯ-ინსპექტორთა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჩამოყვანის ხარჯები ჩვენს თავზე აგვიღოს, ასეთ შემთხვევაში ბილეთების ასპროცენტიანი გაყიდვით შემოსული თანხაც კი ვერ დაგვიფარავს ხარჯებს“ — ეს თქვეს პარასკევს ლოკომოტიველებმა.*

# ფედერაციამ ნაკრები სახელმწიფოს სახელმწიფოში მიაბარა



ბადრი კეთილაძის ფოტო

— ეს ნონსენსი და აბსურდია. ასეთ ხელშეკრულებას როგორ შევთავაზებდი რკინიგზელებს?! ლეგიონერთა, მსაჯ-ინსპექტორთა გამოძახება ფედერაციის პრეროგატივაა. ეს იგივეა, რკინიგზელებმა ლოკომოტივის მართვა რომ მოგვთხოვონ. არც მოძრავ სატელევიზიო სადგურზე ყოფილა საუბარი. ამ პრობლემების მოგვარებაც ჩვენი პრეროგატივაა. არ ვიცი, ასეთი აზრი საიდან მოუვიდათ ლოკომოტიველებს, იქნებ პრესამ არასწორად გაიგო მათი ნათქვამი.

**— აკაკი ჩხაიძის ნათქვამს გაგიმეორებთ — ფედერაცია მილიონამდე დოლარ სატელევიზიო შემოსავალს იღებს. ამ თანხის ნაწილი თუ არ მოგვცეს, შეთანხმება გაგვიჭირდება...**

— ესეც ნონსენსია. სატელევიზიო შემოსავალთან რკინიგზას არანაირი შეხება არა აქვს. საერთოდ უცნაურია, გუშინ შევხვდი ჩხაიძეს და მსგავსი არაფერი უთქვამს. კონსტრუქციულად, საქმიან ვითარებაში ვისაუბრეთ.

**— სანამ ამაზე იტყოდეთ, ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ. ის, რომ თქვენი და „ლოკომოტივის“ ხელშეკრულების პროექტზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს, იმის ბრალიცაა, რომ ასე გასაიდუმლოებული გაქვთ ეს დოკუმენტი. რატომ ერიდებით ხელშეკრულების პუნქტების გაცხადებას.**

— ნებისმიერი დოკუმენტი გარკვეულ დრომდე კონფიდენციალურია. მით უმეტეს, თუ ჯერ შეთანხმებულიც არ არის. მკითხეთ ხელშეკრულების პუნქტებზე, ციფრების გარდა ყველაფერს გეტყვით.

**— ჩხაიძესთან შეხვედრისას რა გადაწყვიტეთ?**

— კიდევ ერთი რაუნდი დავნიშნეთ. ისევ შევხვდებით და ყველაფერს ბეჭედი დაესმება. რკინიგზელებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ ორ ვარიანტს შორის.

**-- რას სთავაზობთ „ლოკომოტივს“?**

— პირველ შემთხვევაში ფიქსირებულ თანხაზეა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ჩვენი საზრუნავია ლეგიონერების, მსაჯ-ინსპექტორებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჩამოყვანა. რკინიგზელები პასუხისმგებლები იქნებიან პროგრამებისა და ბილეთების დამზადება-გასაღებაზე, მიიღებენ მთლიან შემოსავალს და ამის შემდეგ გადაგვიხდიან ფიქსირებულ თანხას.

**— რამდენს?**

— გითხარით, ციფრებზე არ ვისაუბრებ.

**— მეორე ვარიანტი როგორია?**

— როგორიც აქამდე იყო. „ლოკომოტივს“ იჯარის თანხას გადავუხდით და ყველაფრის ორგანიზაციას ჩვენ თავზე ვიღებთ, შემოსავალიც, ბუნებრივია, ფედერაციას დარჩება. სხვათა შორის, წინასწარ ვიზრუნე ამ ვარიანტზე და ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სტამბაში ჩვენს სიტყვას ელიან. თუ საჭირო გახდა, ბილეთების და პროგრამების შეკვეთას მივცემთ ამ სტამბას და ყველაფერს მოვაგვარებთ.

**— იმედია, საიჯარო თანხის ოდენობას მაინც გაგვიმხელთ...**

— ამაზეც ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ლოკომოტივს“ ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთზე შევუთანხმდებით.

**— ფედერაციისთვის რომელი ვარიანტია უფრო მომგებიანი?**

— ჩვენთვის მომგებიანი ვარიანტია, მოვუგოთ ირლანდიას, შვეიცარიასა და რუსეთს.

**— ვთქვათ და, ჩხაიძე თქვენს მიერ შეთავაზებულ არც ერთ ვარიანტს არ დათანხმდა, როგორ მოიქცევით?**

— მთავრობას ჩავაყენებთ საქმის კურსში, მაგრამ გამორიცხულია, აქამდე საქმე მივიდეს. ბოლოს და ბოლოს, რკინიგზელები საქვეყნო საქმეზე უარის მთქმელები არ არიან, ფინანსურ მხარეს რომ თავი დავანებოთ.

**— პარასკევს „ლოკომოტივის“ სტადიონზე რატომ არ ისურვეთ ჩხაიძესთან მოლაპარაკება?**

— იმ შეხვედრას სხვა დატვირთვა ჰქონდა. საგანგებო კომისია სტადიონის შესაძლებლობებზე მსჯელობდა. ექსპერტებს უნდა წარმოედგინათ სათანადო დასკვნები. მეც ორი ექსპერტი მივიყვანე თათბირზე. მამუკა კვარაცხელიამ და ანატოლი მილჩენკომ შესანიშნავად ჩამოაყალიბეს თავიანთი შენიშვნები — სტადიონის უსაფრთხოებისა და ჟურნალისტებისთვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად „ლოკომოტივის“ დირექციას გარკვეული სამუშაოების ჩატარება მოუწევს.

**— როგორ ფიქრობთ, „ლოკომოტივისთვის“ თქვენს მიერ შეთავაზებული ორი ვარიანტიდან რომელია უფრო ხელსაყრელი?**

— ალბათ პირველი. რკინიგზა სახელმწიფოა სახელმწიფოში, ბილეთების გასაღება არ უნდა გაუჭირდეს. სტადიონს სოლიდური შემოსავალი ექნება და ჩვენთვის ფიქსირებული თანხის გადახდაც არ გაუჭირდებათ. მით უფრო, რომ ანგარიშსწორების მექანიზმიც გავუმარტივეთ. თანხას სამ ეტაპად მივიღებთ — ნაწილ-ნაწილ — 15 მაისამდე.

**— თუკი რკინიგზა ამ წინადადებას დათანხმდა, მაშინ როგორ იქნება იმ მოსაწვევების მფლობელთა ბედი, საქართველო — რუსეთის ჩაშლილ მატჩზე რომ იყვნენ მიწვეულნი?**

— ისინი მაშინ ფედერაციის სტუმრები იყვნენ. ამ შემთხვევაში კი მასპინძელი „ლოკომოტივი“ გამოდის და მოსაწვევი ავტომატურად ჩაითვლება გაუქმებულად.

**— საქართველო—რუსეთის ჩაშლილმა მატჩმა 200-ათასიანი ზარალიც დატოვა. ამ თანხის ამნაზღაურებელი ჯერჯერობით არ ჩანს. როგორც ბოლოს ითქვა, თელასი პასუხისმგებლობას იხსნის და შესაბამისად თანხის გადახდაზეც უარსაა.**

— დავილალე უკვე თელასის წარმომადგენლებთან შეხვედრით. სამჯერ იყვნენ ჩემს კაბინეტში. ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ მივხვდი, რომ ისინი არაფრის გადამწყვეტნი არ არიან. ეს პრობლემა იგნასიო ირიბარენის და აკაკი ჩხაიძის შეხვედრამ უნდა მოაგვაროს. ეს შეხვედრა კი დღემდე არ გამართულა.

**— გამოდის, რომ 200 ათასს კარგავთ.**

— არამც და არამც. თუ საჭირო გახდა, ამ საკითხს გავამწვავებთ. გარწმუნებთ, ფედერაციას ისეთი ბერკეტები აქვს, რომ ამ თანხას უპრობლემოდ ამოიღებს.

**— რა ბერკეტებს გულისხმობთ?**

— ჯერჯერობით ამის გაცხადების აუცილებლობას ვერ ვხედავ.

**— როგორ ფიქრობთ, როგორ დამთავრდება თქვენი და აკაკი ჩხაიძის ხვალინდელი შეხვედრა?**

— შეთანხმებით, პირველ ვარიანტზე ხელის მოწერით და მე მადლობას გადავუხდი ჩხაიძეს თანადგომისთვის.

**ბაატა ძამანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

*გუშინ საღამოს აკაკი ჩხაიძემ ის გააკეთა, რისთვისაც ვალერი ჩოლარიასგან შეპირებული მადლობა ეკუთვნის: ფედერაციის მიერ შეთავაზებულ ვარიანტთაგან პირველს დაყაბულდა*

# მომავალ შეხვედრამდე 26 მაისს იქ, სადაც ზედაზენი გვიყურებს



*გუშინ საქართველოს ნაკრებების მშენებარე ბაზას სტუმარი ჰყავდა – დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა. მისი მასპინძლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ბაზის დირექტორი შოთა ხინჩაგაშვილი იყვნენ. თბილისის მერი დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე ეწვია ქართული ნაკრები გუნდების მშენებარე სახლს*





**ჩოლარია ყოველდღე აქ არის**

მშენებლები ნამდვილად არ ზოზინობენ. ბაზა უკვე წამოჭიმულია, კედლები აყვანილია. პირველ სართულზე აუზი და საშხაპეები საცაა მზად იქნება. კარფანჯრები ჩასმულია და ბაზის მთავარი კორპუსის მოპირკეთებაც დაუწყიათ.

აშენებულია საბროილერო პატარა კორპუსიც, საიდანაც გათბობა და ცხელი წყალი არ მოაკლდება ნაკრებთა მწვრთნელ-ფეხბურთელებსა და მომსახურე პერსონალს. გამოყოფილია ადგილი ჩოგბურთის კორტისთვის და პატარა ზომის საფეხბურთო მოედნისთვის.

სტანდარტული მოედანი კი ბაზას ორი ექნება. ერთი მათგანი უკვე მოსწორებულია და დადრენაჟებული — მასზე ახლა ბელტებს აწყობენ და რწყავენ. იქ ადრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი იყო და ნატრიბუნალი საფეხურები შემორჩენილიცაა. მეორე მინდორს ჯერ მხოლოდ ფართობი აქვს მოზომილი.

ბაზის თითქმის ნახევარი მაღალი გალავნითაა შემორტყმული. დაგეგმილია გამწვანებისთვის საჭირო სამუშაოების ჩატარება, რასაც ფიჭვ-ნაძვნარი ალაგიც ხელს უწყობს.

აგრარული უნივერსიტეტის გვერდით მშენებარე კომპლექსის ერთი ხიბლი ისიცაა, რომ მას ზედაზნის მთა გადმოჰყურებს.

ბაზაზე მერის და გენდირექტორის მისვლამდე მივედით და ერთ-ერთი მუშისგან შევიტყვეთ, ჩოლარია ყოველდღე აქ არისო. ბატონი ვალერი მალევე გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე და რამდენიმე წუთში ქალაქის თავიც ესტუმრა.

**ფეხბურთი და მანანელა ძალები**

ზოდელავას ტელეჟურნალისტთა მთელი კოჰორტა ახლდა. მერმა მასპინძლებთან ერთად საგულდაგულოდ დაათვალიერა ბაზის ყოველი სართული. კმაყოფილი დარჩა — ძალიან კარგია, ძალიან კარგია — ასეთი იყო მისი შთაბეჭდილების გამომხატველი სიტყვები და მერს ამაში ალბათ ვერავინ შეეკამათება.

ქალაქისთავმა მშენებარე კორპუსის სარკმლიდან თუ აივნიდანაც გადახედა იქაურობას, მერე ნატრიბუნალზე შედგა ფეხი და ჟურნალისტებთან საუბრისთვისაც მოიცალა.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ ამ ბაზაზე ეროვნული ნაკრები უნდა მოემზადოს — ქვეყნის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფეხბურთის განვითარებას. დედაქალაქში ეროვნული ნაკრები ძირითადად დიღმის ბაზაზე ემზადებოდა, ახლა კი საკუთარ კომპლექსი ექნება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ბაზა თანამეგობრობის ქვეყნებში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მსურს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მადლობა გადავუხადო — ამ უწყებამ ოფისი უკვე აიშენა, ახლა კი ნაკრების ბაზას აშენებს. სამუშაოები მაისის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს და ვფიქრობ, ეროვნული ნაკრებისთვის ეს ურწყინვალესი ბაზა 26 მაისს გაიხსნება.

— ქალაქის მერია ბაზის მშენებლობაში თავის სიტყვას ამბობდა და ბოლომდეც იტყვის. ამ საქმეში ქალაქის ყველა სამსახურია ჩაბმული. რაც შეეხება ეროვნულ სტადიონს, მერია ხარჯებს კი იღებს, მაგრამ უეფას დახმარების გარეშე მის სრულ რეკონსტრუქციას ვერ შევძლებთ. თუ მოლაპარაკებაში შევძლებთ დიდუბის თემას, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზრობები 3-4 წელიწადში აღარ იქნება. ხოლო ბაზისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან არაფერი არ დაიხარჯება -- ამ კომპლექსის აშენება 800 000 ევრო ჯდება.

სიტყვის თქმა მერის მასპინძელ ვალერი ჩოლარიასაც ვთხოვეთ.

— ქალაქის მერი მაქსიმალურად გვიჭერს მხარს. რაც შეეხება ფულად დახმარებას, არც ქალაქის და არც ქვეყნის ბიუჯეტიდან ამ მშენებლობაზე თეთრი არ დახარჯულა. ნაკრები ამ ბაზაზე პირველად 6 სექტემბრის ალბანეთთან თამაშისთვის დაბინავდება.

აი, ასეთი გახლდათ ნაკრებთა მშენებარე კომპლექსზე იმ ქალაქის მერის სტუმრობა, სადაც ჯერ მაწანწალა ძაღლების პრობლემა ვერ მოუგვარებიათ.

**დავით თამართქილაძე**

# მშვიდი და გონიერი

## იაკობ კუნს მთელი ფული საჭმელში და გადასახადებში ეხარჯება



***შვეიცარიის ნაკრები საქართველოს მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, იაკობ კუნი კი მისი მწვრთნელი გახლავთ — ეს ამბავი, რა ხანია, ცნობილია. კუნის მწვრთნელობაზეც უკვე შეგვქმნია წარმოდგენა, თუნდაც შვეიცარია—საქართველოს ჩვენთვის ავადმოსაგონარი მატჩით. თუმცა ისიცაა, რომ ასეთი საქართველოს ნაკრების დამარცხება მაინცდამაინც დიდ დამსახურებად ვერ ჩაითვლება.***

***იაკობ კუნის პიროვნულ თვისებებზე კი ბევრიც არაფერი ვიცით და ამის გასაგებად ეგებ „ფიფა მეგეზინში" გამოქვეყნებული ეს ინტერვიუ გამოგვადგეს***

**— რა არის თქვენთვის ფეხბურთი?**

— ის ჩემი სიყვარულია. ფეხბურთს ბავშვობიდან მივდევ და თავისი მომხიბვლელობა დღემდე არ დაუკარგავს.

**— ბავშვობაში რომელი გუნდის ქომაგი იყავით?**

— „ლეციგრუნდის" სტადიონის სიახლოვეს ვცხოვრობდი, იქ სადაც „ციურიხი" თამაშობდა. მამაჩემს ყოველ კვირა დავყავდი ფეხბურთზე, ერთ კვირა დღეს „ციურიხის" თამაშზე, მეორე კვირა დღეს, როცა „ციურიხი" სტუმრად თამაშობდა, „გრასჰოპერის" საყურებლად. მე გულმა უფრო „ციურიხისკენ" გამიწია.

**— კერპი თუ გყავდათ?**

— პელე. არასდროს დამავიწყდება, მას მოედანზე რომ შევხვდი. 1969 წელს ციურიხში „სანტოსთან" ამხანაგური მატჩი გვქონდა. 5:4 მოვიგეთ. მე ერთი გოლი გავიტანე, თუმცა პელემ ორი თუ სამი გაგვიტანა, ზუსტად არ მახსოვს.

**— დღეს ვის თვლით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად?**

— რონალდოს.

**— დღეს რომელი გუნდი თამაშობს ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს?**

— როცა ყველა ვარსკვლავი მოედანზე ჰყავს და შესაძლებლობებსაც სრულად იყენებს, მადრიდის „რეალი".

**— ფეხბურთთან დაკავშირებული საუკეთესო მოგონება...**

— საფეხბურთო კარიერის პირველი წლები და ისევ და ისევ პელეს წინააღმდეგ თამაში. მთელი მატჩის განმავლობაში გადაულებლად წვიმდა, მაგრამ ის მაინც ფანტასტიკური თამაში იყო.

**— უდიდესი იმედგაცრუება...**

— უცბად არაფერი მახსენდება. განსაკუთრებით მტკივნეული მარცხი, მგონი, არასდროს მიწვნევია. მაგალითად, „ციურიხი" არასდროს დამარცხებულა თასის ფინალში.

**— როგორი მუსიკა მოგწონთ?**

— 60-70-იანი წლების. ელვის პრესლი, „ბითლზი" და „პინკ ფლოიდი".

**— თქვენი საყვარელი წიგნი?**

— ბევრს ვკითხულობ. თუმცა ერთი გამორჩეული წიგნი არა მაქვს. ისე, ერიხ მარია რემარკის „შავმა ობელისკმა" ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

**— საყვარელი ფილმი?**

— არაფერი მახსენდება. კინოში ძალიან დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

**— საყვარელი ქალაქი?**

— ციურიხი. ის არ შედის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ქალაქთა შორის, მაგრამ ის სრულიად უნიკალური ქალაქია.

**— რომელი კერძები გიყვართ?**

— ყველანაირი, რომელიც სიყვარულით და ყურადღებით არის გაკეთებული.

**— თქვენი ჰობი?**

— ფეხბურთი. ის ჩემი ჰობიცაა და სამუშაოც.

**— მსოფლიო ისტორიაში ყველაზე გამორჩეული პიროვნება ვინ არის?**

— ისინი ბევრნი არიან — სოკრატე, მიქელანჯელო, ნაპოლეონი...

**— რა გაძლევთ ძალას?**

— სიმშვიდე და გონიერება.

**— თქვენი მთავარი სისუსტე?**

— ვინმე სხვას ჰკითხეთ, ვინც კარგად მიცნობს.

**— რა თვისებებს აფასებთ ქალში?**

— ვფიქრობ, მთავარი პატიოსნება და იუმორის გრძნობაა.

**— კაცში?**

— იგივეს.

**— ფულს რაში ხარჯავთ?**

— ძირითადად საჭმელში და გადასახადებში.

**— რა გაღიზიანებთ?**

— გაწელილი ინტერვიუებისგან ხანდახან მოთმინებას ვკარგავ.

**— მსოფლიოს მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— წინასწარმეტყველი არა ვარ. დედამიწა მილიონობით წელია ბრუნავს და იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს იბრუნებს.

**— რას ნიშნავს თქვენთვის მშვენიერება?**

— ბუნებას. მთების ყურება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ტყეში სიარული კი საუკეთესო დასვენებაა.

**— შვებულების გატარებას სად ისურვებდით?**

— წყნარი ოკეანის რომელიმე უკაცრიელ კუნძულზე, სადაც სრული სიმშვიდეა. სამხრეთ აფრიკაშიც წავიდოდი. იქ ერთხელ უკვე ვიყავი, მშვენიერი ქვეყანაა.

**— ყველაზე მეტად რომელ პიროვნებასთან ისურვებდით შეხვედრას?**

— ამაზე არასდროს მიფიქრია და ვერ გიპასუხებთ.

**— ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი 2006 წელს?**

— დიდ გუნდთაგან ერთ-ერთი. თუმცა, სანამ შვეიცარია საკვალიფიკაციო ეტაპს არ გაივლის, ეს საკითხი არ მაინტერესებს.

# კალაძე კიევის გამოტოვებს



**იტალიური „მილანის“** ქართველი მცველი კახა კალაძე სერია A-ს ბოლო ტურში ბერგამოს „ატალანტასთან“ მატჩის 56-ე წუთზე შეცვალეს. ახლა გაირკვა, რომ ჩვენებურის მოედნიდან ნაადრევად გაყვანის მიზეზი ტრავმა ყოფილა. კალაძეს მარცხენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული.

გუშინ კახა კალაძეს „მილანთან“ ერთად არ უვარჯიშია. მას ექიმები სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ და ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რამდენად სერიოზულია ტრავმა. იტალიელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, დიდი შანსია, ქართველმა ფეხბურთელმა მომავალ ტურში „კიევთან“ ვერ ითამაშოს. ამ მატჩში კი მილანელები თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნებას ელიან.

**კახა ზალამბერიძე**

# დემეტრაძის პრეზენტაცია დონეცკში



**უკრაინულმა** დონეცკის „მეტალურგმა“ ორშაბათს ოფიციალურად წარუდგინა ჟურნალისტებს ქართველი ახალწვეული გიორგი დემეტრაძე. 26 წლის თავდამსხმელი უკრაინაში ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. 2001 წელს დემეტრაძე ვლადიკავკაზის „ალანიადან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა. მაშინ ეს ტრანსფერი პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთ უძვირესად ითვლებოდა. უკრაინელებმა ქართველ თავდამსხმელში დაახლოებით ოთხი მილიონი დოლარი გადაიხადეს.

დემეტრაძემ მაისურაც ასაკის შესატყვისი აირჩია, 26 ნომრით.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებური „მეტალურგში“ მაისამდე ითამაშებს, მერე კი ესპანურ „სოსიედადს“ დაუბრუნდება. ამ კლუბთან დემეტრაძეს კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**კახა ზალამბერიძე**

*ფეხბურთში რომ სამართალი არსებობდეს, ორშაბათს ქართული „ფრაიბურგი“ ბერლინიდან სულაც უქულოდ წავიდოდა, თუმცა ბადენვუტენბერგელებმა მატჩის ბოლოს ქულა გამოგლიჯეს „რკინის კაცებს“*

**განო ოქროპირიძე**

**ბერლინიდან**

# ფრაიბურგმა ბერლინურ ყინვაში გამოიძინა

## კობიაშვილმა ფინკე ინფარქტისგან იხსნა

### გერმანია

**II ბუნდესლიგა**
**XXIII ტური**

**უნიონი 1:1 ფრაიბურგი**

**1:0 რისტიჩი (25), 1:1 კულიბალი (81)**
**ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, შ. მიულერი, ვილი, კობიაშვილი, ბაირამოვიჩი (ა. ცაიერი 46), პერმელი (ბერნერი 46), ცძიტიშვილი (მენერი 73), კულიბალი, იაშვილი, გუიე-მიენი**
**მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე**
**8 216 მაყურებელი**

„ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ პირველი ტაიმის მეორე და მეორე ტაიმის პირველი ნახევარი“ — ასეთი მოკლე კომენტარი გააკეთა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არცთუ ცუდ ხასიათზე მყოფმა ფოლკერ ფინკემ, სტუმართა მწვრთნელმა, რომელიც მთელი შეხვედრის მანძილზე საშინელ ხასიათზე ჩანდა.

გერმანიის საფეხბურთო ლიგამ „უნიონი“ — „ფრაიბურგის“ მატჩი მეორე ბუნდესლიგაში ცენტრალურად ჩათვალა და ამიტომ ორშაბათს დანიშნა. ბევრი სტუმართა მოგებას ელოდა, თუმცა მომლოდინეთ მოლოდინი გაუცრუვდათ. მე პირადად „ფრაიბურგის“ უცილო გამარჯვებაში დარწმუნებული სულაც არ ვიყავი, მაგრამ პირველი ბუნდესლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდისგან ბევრად მეტს კი ველოდი.

მას შემდეგ, რაც პრეს-ცენტრში გუნდების შემადგენლობები ჩამოარიგეს, თვალში მომხვდა იაშვილ-კულიბალ-გუიე-მიენის საგარეო მატჩის ძირითადში ერთდროული გამოჩენა. ამით თითქოს ცხადი იყო, რომ ფინკე აქცენტს შეტევაზე გააკეთებდა. საწყისმა წუთებმა ეს აზრი უფრო გამიმტკიცა, „ფრაიბურგი“ „უნიონის“ ნახევარზე დასახლდა და სამი მომენტიც გააცუდა, ერთხელ, როცა ბერლინელთა მეკარეს ბურთი გაუვარდა და ვერავინ დაამატა, მეორედ გუიე-მიენმა ძალიან ცუდად დაარტყა, ხოლო მესამედ, როცა მანვე



ფრაიბურგელებს გოლში ლევან კობიაშვილმაც (მარცხნივ) წაუკრა ხელი

კობიაშვილ-იაშვილის ჩინებული კომბინაცია ვერ დააგვირგვინა. ეს იყო და, „ფრაიბურგმა“ თავი ღრმა ძილს მისცა. სტუმრები ვერც ფინკეს შეფუცხუნებამ გამოაღვიძა, ვერც შეცვლებმა და ვერც იმ ბერლინურმა ყინვამ, რომელმაც ორ ავტოკალამში მელანი გამიყინა. 75-ე წუთამდე „ფრაიბურგს“ მეტოქის კარისკენ ფაქტობრივად არ გაუხედავს, ერთი ის ეპიზოდი იყო, როცა კულიბალიმ ლამის ცენტრიდან დაარტყა და რიკოშეტის მერე გუიე-მიენი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამან ბურთი მეკარე ვულნიკოსკის ვერ ააცილა. დანარჩენი დრო კი მოედანზე ერთი გუნდი და ერთი კაცი თამაშობდა. ის გუნდი „უნიონი“ იყო, ის კაცი კი სტუმართა მეკარე რიხარდ გოლცი, რომელიც ასაღებსაც იღებდა და აუღებელსაც. მხოლოდ მაშინ ვერ იხსნა მთვლემარე თანაგუნდელები, როცა ექსფრაიბურგელმა ბრუნსმა მარცხენა ფლანგზე სამ მცველს ჩაუცეკვა და კარიდან ორ მეტრში მდგარ რისტიჩს გაატანინა. ამის მერე მასპინძლებს, სულ მცირე, სამჯერ მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ...

80-ე წუთზე ბურთი იაშვილმა მიიღო, რომელმაც მასპინძელთა მცველებში შეუმჩნევლად გაპარულ კობიაშვილს პასი არ დაუგვიანა, ლევანი ვოტავას გაცდა და ის იყო მეკარესთან პირისპირ დარჩენილი საჯარიმოში უნდა შესულიყო, რომ მოტყუებულმა მცველმა ფეხი დაუდო. ვოტავამ წითელი ბარათი იხილა, 8 ათასზე მეტმა ქომაგმა კი გოლი საყვარელი გუნდის კარში: კულიბალის მიერ შესრულებული ჯარიმა უნაკლო გახლდათ. მსაჯის წამატებულ წუთებში კი მასპინძლები კინაღამ უქულოდ დარჩნენ, ძალიან სუსტად მოთამაშე ვულნიკოვსკის ბურთის ხელებიდან გავარდნა მესამედაც აპატიეს — ბერნერმა მაინცდამაინც კარის წინ ეულად მდგარ ბაუმგარტს დაუმიზნა და ფინკეს ლამის ინფარქტი დამართა.

პრესკონფერენციაზე ფინკემ ჟურნალისტებს გვთხოვა, ბრუნსის კარგ თამაშზე იმას ნუ დაწერთ, თითქოს მან მე ამით რამე დამიმტკიცა. ფლორიანი ჩინებული პიროვნებაა და მისი კარგი თამაში, გულახდილად გეტყვით, ყოველთვის გამიხარდებაო. ბოლოს კი დააყოლა, ამ ფრით ქვეყანა არ დაქცეულა, მთავარი ბრძოლები წინაა და მწამს, პირველ ბუნდესლიგაში დავბრუნდებითო.

მე კი დავამატებ, რომ „ფრაიბურგმა“ თუ ასე განაგრძო, პირველ ბუნდესლიგის საგზური ნამდვილად დაუმსახურებელი იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 22 | 12 | 10 | 0 | 45:24 | 46 |
| მაინცი | 23 | 13 | 4 | 6 | 39:22 | 43 |
| აინტრახტი | 23 | 12 | 7 | 4 | 36:20 | 43 |
| ფრაიბურგი | 22 | 12 | 5 | 5 | 34:19 | 41 |
| ტრირი | 23 | 11 | 6 | 6 | 41:29 | 39 |
| ალემანია | 22 | 10 | 7 | 5 | 40:30 | 37 |
| ფიურტი | 23 | 8 | 10 | 5 | 29:24 | 34 |
| დუისბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 31:30 | 31 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 7 | 9 | 7 | 38:32 | 30 |
| ობერჰაუზენი | 22 | 8 | 6 | 8 | 25:25 | 30 |
| ლიუბეკი | 23 | 8 | 3 | 12 | 34:36 | 27 |
| როიტლინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:33 | 26 |
| უნიონი | 22 | 5 | 10 | 7 | 27:40 | 25 |
| ალენი | 23 | 6 | 4 | 13 | 29:42 | 22 |
| კარლსრუე | 23 | 4 | 9 | 10 | 21:35 | 21 |
| ვალდჰოფი | 23 | 5 | 6 | 12 | 26:44 | 21 |
| ზტ. პაული | 23 | 4 | 6 | 13 | 32:49 | 18 |
| ბრაუნშვაიგი | 22 | 3 | 6 | 13 | 21:42 | 15 |

# ასათიანი ძელით იწყებს

**მოსკოვის „ლოკომოტივმა“** საწვრთნელი შეკრების გასავლელად სოჭს მიაშურა. გუნდთან ერთადაა ქართველი ახალწვეული მალხაზ ასათიანიც. რკინიგზელები ზღვისპირეთში სარვამარტო ჯახისთვის ემზადებიან. ამ დღეს „ლოკომოტივი“ და ცსკა რუსეთის სუპერთასისთვის იბრძოლებენ.

ორშაბათს რკინიგზელები ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრნენ ადგილობრივ „ჟემჩუჟინას“, რომელშიც დღესაც თამაშობს გოჩა გოგრიჭიანი.

„ლოკომოტივმა“ „ჟემჩუჟინასთან“ ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა, იური სიომინი კი მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებთან ერთად. მალხაზ ასათიანმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე და ერთხელ სულ ცოტა დააკლდა პირველი რკინიგზული გოლის გატანამდე. ჩვენებურის ძლიერი დარტყმა „ჟემჩუჟინას“ კარის ძელს მოხვდა.

მატჩის ერთადერთი გოლი კი მე-19 წუთზე გავიდა. გოჩა გოგრიჭიანმა მცველს ეშმაკურად მოჰპარა ბურთი და საჯარიმოში ზებელიანს გადააწოდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა.

„ლოკომოტივს“ შეეძლო მატჩის გადარჩენა, მაგრამ ვუჩიჩევიჩმაც, ასათიანის დარად, ძელის მდგრადობა მოსინჯა. მეორე ტაიმში კი რკინიგზელებმა სულაც პენალტი გააცუდეს — პაშინინის დარტყმული სოჭელთა მეკარე ლედოვსკიხმა მოიგერია.

იური სიომინმა „ჟემჩუჟინასთან“ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ხაპოვი (კრივორუჩკო 46), იონოვი, ხატაჟენკოვი (ბორდიანი 75), პაშინინი, ობრადოვიჩი,* ***ასათიანი,*** *ვუჩიჩევიჩი (სოკოლოვი 46), დროზდოვი (პოპელი 46), ჩვ. ოვჩინიკოვი, ბუზნიკინი, პარკსი (ბაბა ადამუ 46).*

**კახა ზალამბერიძე**



მალხაზ ასათიანს (მარცხნივ) პატრონი და სეზონის დაწყება ელირსა

# ქართველები ზღვასავით იქცევიან, მიიქცევიან-მოიქცევიან

## გიგიაძე, ტრაპაიძე, ჩომახიძე: ტავრიაში, როგორც სახლში

შოთა ჩომახიძე, გოჩა ტრაპაიძე და ვასილ გიგიაძე კვლავაც სიმფეროპოლის „ტავრიას“ შემადგენლობაში ირიცხებიან და ახლახან თურქეთში საწვრთნელი შეკრებაც გაიარეს. არადა, წრეებსშორის შესვენებისას „ტავრიაში“ ქართველის ჭაჭანება არ იყო. შოთა ჩომახიძე ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა იჯარის წესით, გოჩა ტრაპაიძეს საერთოდ გუნდიდან გაშვებას უპირებდნენ, ხოლო ვასილ გიგიაძე ცდილობდა, კიევის „არსენალში“ გადასულიყო.

როგორც გაირკვა, აქედან არაფერი გამოვიდა. „თანამეგობრობის თასის“ დასრულებისთანავე ჩომახიძე უკრაინულ კლუბს შეუერთდა, ტრაპაიძემაც პრობლემები მოაგვარა და ბუნდოვანი გიგიაძის მომავალიღა იყო. 25 წლის ქართველი ნახევარმცველის „არსენალში“ გადაბარგებას თითქოს წინ არაფერი ედგა, თუმცა ბოლო წამს ეს ტრანსფერი ჩაიშალა. მიზეზად მადამოძალებული „ტავრია“ დასახელდა, რომელმაც ჩვენებურის სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვა.

ამის შემდეგ თავად ვასილსაც გადაეწურა კლუბის გამოცვლის იმედი და სიმფეროპოლში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხანში ჩვენებური გასასინჯად იაროსლავლის „შინიკმა“ მიიწვია. გიგიაძემაც დაუფიქრებლად მიაშურა „შინიკს“, რამდენიმე დღე ივარჯიშა, ამხანაგურებიც ითამაშა და მოლაპარაკებების დროც დადგა.

ამგვარად, ბევრი უკვე კიდევ ერთი ქართველის გამოჩენას ელოდა რუსეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არ მოხდება. რამდენიმე დღის წინ გიგიაძე ისევ სიმფეროპოლში დაბრუნდა. ჩვენებურის „შინიკში“ ტრანსფერის შესახებ ვერც „ტავრიას“ ოფისში გვეუბნებიან გარკვევით რამეს.

— კომენტარს ვერ გავაკეთებთ. ეს საკითხი მალე უნდა მოგვარდეს და მერე ყველაფერს გაიგებთ — გვითხრა სიმფეროპოლური კლუბის წარმომადგენელმა.

ამასობაში „ტავრია“ თურქეთიდან დაბრუნდა. საწვრთნელ შეკრებაზე ამხანაგურ მატჩებში ჩომახიძე-ტრაპაიძე-გიგიაძის სამეულმაც ითამაშა. ახლა კი სიმფეროპოლელები სევასტოპოლში აგრძელებენ მზადებას. ანატოლი ზაიაევი სევასტოპოლში შეგირდებს ჩემპიონატის განახლებამდე მოამზადებს, იქედან კი „ტავრია“ ჩარტერული რეისით ლვოვში გაფრინდება, სადაც 9 მარტს სეზონის პირველ მატჩს იქაურ „კარპატთან“ გამართავს.

**კახა ზალამბერიძე**



# ჯერ ადგილი, მერე ლაპარაკი

## ყაველაშვილი ლუცერნს ზაფხულამდე მოიფიქრებს

**შვეიცარიულ „ლუცერნთან"** სექტემბერში გაფორმებული ხუთთვიანი კონტრაქტი მიხეილ ყაველაშვილმა იანვარში სეზონის ბოლომდე გააგრძელა და ახლა გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატის A ჯგუფში დასარჩენად იბრძვის.

პირველი წრის შემდეგ ჩამორჩენილ ოთხ გუნდს, რომელთა შორის „ლუცერნიცაა", B ჯგუფის ოთხი საუკეთესო დაემატა და ახლა სწორედ მათგანაა ის ორი გუნდი გასარკვევი, გაისად უძლიერესებში რომ ითამაშებს. წლეულს შვეიცარიის ჩემპიონატის სისტემა ერთი სეზონით შეიცვალა, რადგან მომავალში A ჯგუფის გუნდების რაოდენობა თორმეტიდან ათამდე მცირდება და აქედან გამომდინარე, ელიტური ლიგის დატოვება ერთბაშად ექვსს მოუწევს. „ლუცერნსაც" სწორედ ეს პრობლემა აწუხებს, მით უმეტეს, რომ ყაველაშვილის გუნდი შაბათს მეორე წრის პირველსავე ტურში „სენტ გალენთან" სტუმრად 2:4 დამარცხდა.

— უძლიერესთა ლიგაში ადგილის შენარჩუნების ძალა კი გვაქვს, მაგრამ არც სხვა გუნდები არიან ისეთი სუსტები, გული დავიარხეინოთ. თანაც „სენტ გალენთან" ერთი მატჩი უკვე წავაგეთ — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა — თუ A ჯგუფიდან გავვარდით, ეს „ლუცერნისთვის" ეგებ დაშლის ტოლფასიც იყოს.

**— რატომ?**

— რატომ და გუნდს სპონსორები მიატოვებენ. ამის შემდეგ თავისთავად ფეხბურთელებიც მიიფანტ-მოიფანტებიან.

**— გავარდნის შემთხვევაში „ლუცერნში" არც შენ გაჩერდები?**

— რა თქმა უნდა, წავალ, უკეთეს გუნდს მოვძებნი.

**— ჯგუფში დარჩენისას გააგრძელებ კონტრაქტს?**

— ჯერ ვერ გეტყვით, ვნახოთ. ახლა ამაზე არც ვფიქრობ. მთავარია, „ლუცერნმა" ადგილი შეინარჩუნოს და წასვლა-დარჩენაზე გუნდის ხელმძღვანელებთან მერე დავილაპარაკებ.

**— „სენტ გალენთან" ერთი გოლი შენს ანგარიშზეა...**

— კი, მაგრამ გუნდმა წააგო და ჩემს გოლს ფასი დაეკარგა.

**— ისევ გამოკვეთილ თავდამსხმელად თამაშობ?**

— ეგრეა, პოზიცია არ შემიცვლია. პირველ წრეში სამი თავდამსხმელით ვუტევდით, ახლა მწვრთნელმა შუა ხაზი გააძლიერა, ერთი ფეხბურთელი ნახევარდაცვას დაამატა, წინ კი ორნი დავრჩით.

**— მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილია მწვრთნელი?**

— კმაყოფილი კია, მაგრამ როგორ მოვემზადეთ, ეს ჩემპიონატში უკეთ გამოჩნდება. ორი კვირით სამხრეთ აფრიკაში ვიყავით შეკრებაზე, ვნახოთ, მალე ვნახავთ, რეალურად რას წარმოვადგენთ.

**კობა ინასარიძე**

# დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები**

# ლუის ცაკარიასმა იცის: გაგდებულებმა შეგდება იციან

**თასის გათამაშების** სამერვედფინალო წყვილებში რამდენიმე ისეთიც გამოერია, დაძაბულ თამაშებს და გვარიან ინტრიგასაც რომ გვპირდება. თუ ბიჭი ხარ, მიდი, გამოიცანი, რა შედეგით დასრულდება ფოთში „კოლხეთი" — „სიონის" დაპირისპირება? ანაც ვინ იმარჯვებს „დინამო 2"-სა და „სპარტაკს" შორის, ორივე ხომ პირველლიგელი და თანაბარი ძალისაა.

ქობულეთსა და ლანჩხუთში ნაწვევ უმაღლესლიგელ „დილას" და „მილანს" დაუფიქრებლად გადაულოცავდით მეოთხედფინალის საგზურებს? ამის გაფიქრებაც სარისკო იქნებოდა.

ჩვენ ის დროც გვახსოვს, „დინამოსა" და „ბათუმს" სათასო ფინალზე ექსკლუზიური უფლება რომ გააჩნდათ, მაგრამ ახლა ვერც ათგზის ჩემპიონი ყინჩობს ძველებურად და „ბათუმისგანაც" ხომ აჩრდილია დარჩენილი.

დღეს „ვიტ ჯორჯია" ოზურგეთის „მერცხალს" მასპინძლობს, ვისაც გულში უმაღლესლიგელობა ამოუჭრია და ძველი ვეტერინარი მწვრთნელობს. სერგო გაბელაია გაორკეცებული ჟინით მოამზადებს შეგირდებს, რათა ყოფილ და ახალ ხელმძღვანელებთან არ შერცხვეს.

ზემოთ „კოლხეთი" — „სიონი" ვახსენეთ და ამ მატჩს თავისებური ინტრიგაც კი ახლავს. სადღეისოდ თემურ მახარაძის გუნდში ოთხი ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც თავის დროზე სოსო ფილიას ხელში გაუვლიათ. შალვა ხუჯაძე, ჰამლეტ წივწივაძე, გელა ფანჩულიძე და რამაზ სვანაძე ფოთელ ქომაგსაც შეუქია და შეუგულიანებია, მაგრამ ის ოთხეული დღეს „ფაზისზე" „სამტროდ" შედგამს ფეხს.

შედარებით იოლი გასეირნება ჩემპიონ „ტორპედოს" ელის, რომელიც ხვალ სტუმრად გამოუცდელ ჭაბუკთა გუნდს ეთამაშება, თუმც ეს ხომ სათასო მატჩია, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი.

ყველასგან გამორჩეული კი ორი დედაქალაქური უმაღლესლიგელის — „ლოკომოტივისა" და „მერანი-ოლიმპის" ჭიდილი იქნება. საქართველოს პირობაზე „ლოკომოტივი" გვარიანი კლუბია. მას უკვე მერამდენედ, ყველაფრის მოგება სწადია, მაგრამ აქამდე თასსა და ვიცე-ჩემპიონობას შესწვდა.

მართალია, „მერანი-ოლიმპი" უმაღლესში დასარჩენად მებრძოლია, მაგრამ საკმაოდ წელგამართული პატრონი ჰყავს და ამბიციებიც, თუნდაც სამომავლო, საკმარისად გააჩნია.

თანაქალაქელების დაპირისპირება უცხოეთში და ჩვენშიც მუდამ გამორჩეული და დაძაბულია. ესეც რომ არ იყოს, ამ ორ კლუბს აქვს მიზეზი, ერთმანეთს „მტრად" მოეკიდონ. სადღეისოდ ყოფილი რკინიგზელები კახა გოგიჩაიშვილი, გელა ქორიძე და სულიკო დავითაშვილი კობა ჟორჟიკაშვილის გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან. ალბათ გახსოვთ კიდეც, რა სკანდალურად და უცერემონიოდ დაითხოვეს „ლოკომოტივიდან" ეს სამეული. მაშინდელი ჭორ-მართალი ჯერაც არ დამცხრალა და გამორიცხულია, ისინი რევანშზე არ ოცნებობდნენ.

კიდევ ერთი ყოფილი რკინიგზელი, გიორგი დავითნიძეც „მერანი-ოლიმპშია". მცველი, რომელიც „ლოკომოტივიდან" ძალდატანებით გაისტუმრეს. დავითნიძესაც ხომ თავისი აქვს დასამტკიცებელი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „მერანი-ოლიმპი" ავჭალური კლუბის ნარჩენებზეა ნაგები, გუნდისა, რომელსაც თავის დროზე „ლოკომოტივთან" დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონია და იმ დაპირისპირების შემსწრენი ჩვენც ვყოფილვართ.

დანარჩენებისგან სწორედ ამიტომ გამოვარჩიეთ „ლოკომოტივისა" და „მერანი-ოლიმპის" ორთაბრძოლა და მერვედფინალის ცენტრალური მატჩობაც დავანათლეთ.

თბილისი. ეროვნული. 5 მარტი. 15.00 საათი

**დინამო — ბათუმი**

ქობულეთი. ცენტრალური. 5 მარტი. 15.00 საათი

**ქობულეთი — დილა**

თბილისი. ლოკომოტივი. 5 მარტი. 15.00 საათი

**ლოკომოტივი — მერანი-ოლიმპი**

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 5 მარტი. 15.00 საათი

**გურია — მილანი**

თბილისი. შევარდენი. 5 მარტი. 15.00 საათი

**ვიტ ჯორჯია — მერცხალი**

თბილისი. დერბის სკოლა. 6 მარტი. 15.00 საათი

**ჭაბუკთა ნაკრები — ტორპედო**

ფოთი. ფაზისი. 5 მარტი. 15.00 საათი

**კოლხეთი — სიონი**

თბილისი. სინათლე. 6 მარტი. 15.00 საათი

**დინამო 2 — სპარტაკი**

# ლოკომოტივი VS მერანი-ოლიმპი

ამ ბოლო დროს ლუის ცაკარიასის ვარჯიშები მეტად ხალისიანია, ფეხბურთელები ძირითადად ბურთით მუშაობენ, ნაირგვარ კომბინაციებს ამუშავებენ და კარში დარტყმის „ხელოვნებას" ხვეწენ.

გუშინ პერუელმა ვაკის სათადარიგო მოედანზე ავარჯიშა შეგირდები. წვრთნა თერთმეტ საათზე დაიწყო და საათნახევარს გასტანა. ცაკარიასის განკარგულებაში არ იყო ზაზა ლაცაბიძე, მას თურმე სიცხე აქვს და დედაქალაქის დამაფრთხობელ ვირუსს ებრძვის.

კაპიტანი გიორგი ბალაშვილი გუშინ ძუნძულით შემოიფარგლა. მას მეთექვსმეტედფინალში თსუ-სთან ნატკენი ბარძაყი საბოლოოდ არ მოშუშებია. ნახევარმცველი სოსელია დისკვალიფიცირებულია და სავარაუდოდ მერვედფინალის ორივე თამაშს გამოტოვებს.

გუშინდელი ვარჯიშის მიწურულს ფორვარდ ნანას ფეხი გადაუბრუნდა და პირველადი საექიმო დახმარების შემდეგ მოედანი კოჭლობით დატოვა.

ცაკარიასმა წვრთნის დასრულება ბრძანა, შეგირდები საღამოს შვიდ საათზე სასტუმრო „ოდაში" შეკრებაზე დაიბარა და ჩვენთვისაც მოიცალა.

— სათასო მატჩები ყველგან გამორჩეულია და ძნელად პროგნოზირებადიც. მას თავისი დაუწერელი კანონები აქვს და არ არის გამორიცხული, სუსტმა ძლიერი დაჩაგროს. ამიტომაც მონდომებით ვემზადებით, ჩვენ „მერანი-ოლიმპის" ქვეექვსეულში ყოფნა არანაირ შეღავათს არ გვაძლევს. დარწმუნებული ვარ, მეტოქე დიდ ბრძოლას გაგვიმართავს, ამიტომ სრული მობილიზებით თამაშიც გვმართებს.

**— მოწინააღმდეგის რიგებში სამი ისეთი ფეხბურთელია, ვისთანაც თქვენც მოასწარით მუშაობა და მერე კლუბის ხელმძღვანელობამ დაითხოვა...**

— ვიცი, ისინი კარგი ფეხბურთელები იყვნენ და ვისურვებდი, ჩემს გუნდში ეთამაშათ. საერთოდ ასეა, როცა ფეხბურთელი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობს, ჟინი უორმაგდება და თავგამოდებით ცდილობს, თავისი სიძლიერე დაამტკიცოს. გოგიჩაიშვილის, ქორიძისა და დავითაშვილისგან დაუღალავ თამაშს ველი.

**— ხომ არ აპირებთ, გოგიჩაიშვილს და დავითაშვილს მოედანზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ. მათ პერსონალურ მეურვეს ხომ არ მიუჩენთ?**

— არა, ეგ გამორიცხულია. მე ჩემეულ სათამაშო სქემას არ შევცვლი. რომელი ფეხბურთელიც ახლოს იქნება კახასთან თუ სულიკოსთან, ის გამოიჩენს მაქსიმალურ ყურადღებას.

რამდენიმე წუთში ცაკარიასი უკვე სტადიონზე აღარ იყო, ნელ-ნელა ფეხბურთელებიც გაიკრიფნენ, ვაკის სტადიონზე კი ჟრიამული არ შემწყდარა, ნორჩი რკინიგზელები ბურთს დასდევდნენ.

გუშინ ცაკარიასს სჯეროდა, რომ დავითაშვილი მის გუნდს შეუტევდა, მაგრამ „ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიაში მისულებს სულიკო განმარტოებით გამდგარი და ხელჯოხიანი დაგვხვდა. „ლოკომოტივი 2"-თან მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ნაღრძობი მარჯვენა კოჭი დავითაშვილს დღეს ვაკეში თამაშის საშუალებას არ აძლევს.

— ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, ღმერთმა იცის, თამაში როგორ მეწადა, მაგრამ ასეთი ტრავმით გუნდს არაფერში გამოვადგები. ვეცდები, საპასუხო მატჩისთვის მწყობრში ვიყო და გოლის გატანით გულისწადილი ავისრულო.

**— „ლოკომოტივზე" ძალიან გამწყრალი ჩანხარ.**

— როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ. ახლა მე მხოლოდ საკუთარ თავზე მომდის ბრაზი. მეთექვსმეტედფინალის საპასუხო თამაშში ფეხი როგორც კი ვიტკინე, მაშინვე უნდა დამესვენა და ბურთაობა არ გამეგრძელებინა. ასე რომ მოვქცეულიყავი, ახლა ფორმაში ვიქნებოდი.

კობა ჟორჟიკაშვილს დავითაშვილის გარდა ყველა ჯანმრთელად ჰყავს. „მერანი-ოლიმპი" წვრთნას საათსა და თხუთმეტ წუთში მორჩა. იმათაც ძირითადად ბურთით იღინეს ოვლი, აქცენტი ფლანგურ შეტევებზე და კარში დარტყმაზე გააკეთეს და დაიშალნენ.

ნავარჯიშევს ჯერ ყოფილი რკინიგზელები გოგიჩაიშვილი და ქორიძე მოვიკითხეთ, თუმც იმათ ბევრიც ვერაფერი ვათქმევინეთ.

— „ლოკომოტივთან" დაპირისპირებას არანაირ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ეს ერთ-ერთი რიგითი თამაშია ჩემს კარიერაში. რკინიგზელთა ყოფილმა კაპიტანმა გოგიჩაიშვილმა მეტის თქმა აღარ ისურვა და გასახდელს მიაშურა.

გელა ქორიძე კი ხუმრობის ხასიათზე დამდგარიყო:

— „ლოკომოტივი" ფავორიტია, ალბათ, თავისუფლად მოგვიგებენ, ამიტომ ახლობელ ყოფილ თანაგუნდელებს თამაშამდე უნდა შევეხვეწო, დიდი ანგარიშით არ დაგვამარცხონ.

ყველაზე პირდაპირი გიორგი დავითნიძე აღმოჩნდა, რომელსაც დღეს კობა ჟორჟიკაშვილი სავარაუდოდ განელი ნანას მეურვეობას დაავალებს.

— მოსაგებად უნდა ვითამაშოთ, მე კი ვეცდები, დავამტკიცო, რომ „ლოკომოტივიდან" ხელაღებით გასაშვები მცველი არ ვიყავი.

„მერანი-ოლიმპის" თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი მეტოქის სიძლიერეს აღიარებს, თუმც თავისი გუნდისაც ემედება.

— „ლოკომოტივი" გამართული და შეთამაშებული გუნდია, ჩემპიონობისთვის მებრძოლი და ამბიციური, მაგრამ სათასო მატჩების თავისებურება კარგად მოგეხსენებათ, ორი მატჩის ჯამში წარმატების შანსი ჩვენც გვაქვს. ამის რომ არ გვჯეროდეს, არც ვითამაშებდით.



აწ უკვე ექსლოკომოტიველი გელა ქორიძე (მარცხნივ) და ახლაც ლოკომოტიველი ალეკო კაიდარაშვილი (№10) დღეს მეტოქეებად შეიყრებიან

**მამუკა ძმანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი გოლი და ორი წითელი



მოედანზე დაწყებული ჩხუბი ტრიბუნებზეც გაგრძელდა



REUTERS

**ბირმინგემულ** დერბიში, რომელსაც „ასტონ ვილა“ მასპინძლობდა, კვლავ უმცროსმა გუნდმა, „სიტიმ“ მოიგო, ამჯერად 2:0.

პრემიერლიგა ისე მთავრდება, რომ „ვილამ“ გოლიც ვერ გაუტანა თანაქალაქელებს. პირველ წრეში 0:3 წააგო და ეს თამაში იმით იყო სალაპარაკო, რომ მეკარე პეტერ ენკელმანს ფეხქვეშ გაუძვრა ოლოფ მელბერგის გაგორებული ბურთი და კარში შევარდა.

ორშაბათის გამარჯვებამ კი მეტად გაახარა „სიტის“ მენეჯერი სტივ ბრიუსი, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა, ბოლო ათ ტურში ორი მოგება ლიგაში გვტოვებსო. ახლა „სიტი“ უკვე 6 ქულით უსწრებს „ბოლტონს“ და მხოლოდ სამით ჩამორჩება საკუთრივ „ვილას“.

დერბის პირველი ტაიმი უვარგისი გამოვიდა, მეორეში კი ჯერ სტენ ლაზარიდისმა გაუტანა მასპინძლებს, მერე კი ჯეფ ჰორსფილდმა, რომელიც, სხვათა შორის, შეხვედრის ბოლო სამ წუთს კარში იდგა, რადგან მეკარე ნიკო ვასენი დაშავდა, შეცვლათა ლიმიტი კი ამოწურული იყო. მანამდე დიონ დაბლინს და სტუმარ რობი სევიჯს კინკლაობა მოუხდათ — დაბლინმა სიფათში თავი ჰკრა მოწინააღმდეგეს და წითელიც მიიღო. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, რითაც „ვილას“ შეტევის უნარი გაუხუნდა. თამაშის ამ წუთიდან აჭყდა ძიძგილაობა და ჩხუბი ტრიბუნებსა და მოედანზეც, რაც ერთი მონატრებული დერბის გამოხატულებაც იყო. „სიტი“ და „ვილა“ ხომ წლევანდლამდე 25 წელიწადს არ ყოფილან ერთ ლიგაში.

სტუმართა ორივე გოლი სამწუთიან მონაკვეთში, 74-ე და 77-ე წუთებზე გავიდა, ამას კი ის მოჰყვა, რომ გუდიონსონმა მეორე ყვითელი მიიღო და „ვილელები“ საერთოდაც ცხრანი დარჩნენ.

მენეჯერ პიტერ ტეილორს დანა პირს არ უხსნიდა, ასე თქვა, ყველაფერზე გასახდელში ვილაპარაკებთო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 19 | 6 | 4 | 64:30 | 63 |
| მანჩესტერი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:26 | 55 |
| ნიუკასლი | 28 | 17 | 4 | 7 | 47:33 | 55 |
| ევერტონი | 29 | 14 | 7 | 8 | 38:34 | 49 |
| ჩელსი | 29 | 13 | 9 | 7 | 50:31 | 48 |
| ჩარლტონი | 29 | 13 | 6 | 10 | 39:36 | 45 |
| ლივერპული | 28 | 11 | 10 | 7 | 39:28 | 43 |
| ბლექბერნი | 29 | 11 | 10 | 8 | 35:32 | 43 |
| ტოტენჰემი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:40 | 43 |
| საუთჰემპტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 30:28 | 42 |
| სიტი | 29 | 11 | 5 | 13 | 39:44 | 38 |
| ფულემი | 29 | 10 | 7 | 12 | 33:35 | 37 |
| მიდლსბრო | 28 | 9 | 8 | 11 | 34:32 | 35 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 5 | 14 | 31:34 | 35 |
| ლიდსი | 28 | 10 | 4 | 14 | 34:37 | 34 |
| ბირმინგემი | 29 | 8 | 8 | 13 | 27:40 | 32 |
| ბოლტონი | 28 | 5 | 11 | 12 | 30:45 | 26 |
| ვესტ ჰემი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:53 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 5 | 6 | 18 | 21:44 | 21 |
| სანდერლენდი | 29 | 4 | 7 | 18 | 19:46 | 19 |

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XIX ტური**

**ასტონ ვილა 0:2 ბირმინგემი**

0:1 ლაზარიდისი (74), 0:2 ჰორსფილდი (77)

**ასტონ ვილა:** ენკელმანი, ჯ. სამუელი, იონსენი, მელბერგი, ა. რაიტი (კრუში 90), გუდიონსონი, ლ. ჰენდრი, ბერი, ვასელი, დაბლინი, დ. მური (მ. ჰაჯი 46)

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

**ბირმინგემი:** ვესენი, კენა, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი (კარტერი 83), კლემენსი, ლაზარიდისი (დევლინი 75), დიუგარი, მორისონი (ჰორსფილდი 72)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: კანინგემი, გუდიონსონი, დევლინი

გაძევება: დაბლინი (51), გუდიონსონი (81)

მსაჯი: ჰალსი

42 602 მაყურებელი

# ვიქტორიამ ფერგიუსონს ცხვირწინ მიუხურა

## სერ, თქვენ დაპატიჟებული არ ხართ

**ინგლისის** ლიგის თასის ფინალის შემდეგ დევიდ ბექჰემმა კარდიფიდან შინისკენ გასწია. მის ვაჟს, ბრუკლინს ოთხი წელი შეუსრულდა და ბექჰემებმა დიდი წვეულება გამართეს. დევიდმა სტუმრად რაიან გიგზი, ოლე გუნარ სოლსკიაერი, გარი ნევილი და პოლ სქოულზი დაპატიჟა. ეს ამბავი ალექს ფერგიუსონმა რომ შეიტყო, გაცოფდა. შოტლანდიელმა სამხიარულოდ მიმავალ ფეხბურთელებს სიტყვა დაადევნა, სახლში 9 საათამდე თუ არ დაბრუნდებით, ხელფასები გვარიანად დაგექვითებათო, თან ისიც მიაძახა, შამპანურისკენ ხელი არ წაგიცდეთ, თორემ ინანებთო. სერ ალექსს არ უთქვამს, როგორ აპირებდა ფეხბურთელების შემოწმებას ალკოჰოლზე, ან სახლში დროზე მისვლას როგორ დაადგენდა.

თავად სერ ალექსი მიწვეულთა სიაში არ აღმოჩნდა. ვიქტორია ბექემს უთქვამს, მისი ფეხი არ ვნახო ჩემს ოჯახში, ჩემს მეუღლეს ლამის თვალი გამოსთხარაო. შოტლანდიელი ფეხბურთელთა საქციელით გაოგნებულია: „ჩვენ წავაგეთ ლიგის თასის ფინალი „ლივერპულთან“. არ მესმის, ზრდასრულ კაცებს რატომ სურთ ბავშვებივით მოლხენა, მაშინ, როცა გუნდი შეიძლება ყოველგვარი ჯილდოს გარეშე დარჩეს“.

დევიდ ბექემი კარდიფიდან ჩეშირში, თავის სამფლობელოში წასულა. მშვიდად, გადაიხადა 60 ათასი დოლარი და საკუთარ ავტომობილთა კოლექციას ახალი, შავი „რენჯ როვერი“ შემატა. მას უკვე აქვს „მერსედესი“, „ფერარი“, ორი „ბენტლი“. „რენჯ როვერის“ მთავარი ღირსება უმძლავრესი DVD — სისტემაა სუპერთანამედროვე ელერადობით. ბექემმა თქვა: „როცა მომავალ ვარჯიშზე წავალ, მაიკლ ჯექსონის ROCK WITH YOU-ს ჩავრთავ და ამ სიმღერის ხმას ფეხბურთელები რამდენიმე კილომეტრის დაშორებით გაიგებენ“.

**ბაჩა ხუციშვილი**



ბექჰემმა სერ ალექს ფერგიუსონი სახლში არ შეუშვა



# მელოტი ფრანგი ხელში სიგარით

## ბარტეზს მისამართი არ შეშლია

**ეს ამბავი** თვითმფრინავში მოხდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტურინში „იუვენტუსის“ დასამარცხებლად რომ მიფრინავდა. ლაინერში ფაბიენ ბარტეზს... სიგარეტის გაბოლება მოუნდა. ფრანგი მოედანზე ექსტრავაგანტულად კი იქცევა, მაგრამ სალონში მოწევა მაინც ვერ გაბედა და მამაკაცთა ფეხისალაგისკენ დაიძრა. სიგარეტ-სანთებელა მომარჯვებული ფაბიენი იმ დაწესებულებას რომ მიადგა, სადაც მეფეები თავისი ფეხით დადიან, ნახა მის გარდა გაბოლების მრავალ მსურველს მოეყარა თავი. თვითმფრინავი რამდენიმე წუთში ტურინში უნდა დაშვებულიყო. რიგი გრძელი იყო და ბარტეზის გამოთვლით, მოწევას ვერ მოასწრებდა. ამ დროს მას თვალი გვერდით გაექცა, ქალბატონთა განყოფილებისკენ, რომლის კართანაც ქალის ჭაჭანება არ იყო. ფრანგმა სახელურს ჩამოსწია, შევიდა, გამოიკეტა და იქაურობა დააბოლა. მოტვლეპილ თავზე ხელის გადასმაც არ დავიწყებია. როცა გამოვიდა, გაოცებული ქალბატონების თვალებს წააწყდა, რომლებიც უკვე რიგში ჩამდგარიყვნენ. ბარტეზმა ფრანგულად მოიბოდიშა და ვითომაც არაფერი, თავისი სავარძლისკენ გაეშურა.

**ბაჩა ხუციშვილი**

## იტალია

**სერია B**

**XXIV ტური**

**ნაპოლი 1:1 ბარი**

1:0 ვიდიგალი (45), 1:1 პიცინატი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 24 | 11 | 9 | 4 | 35:20 | 42 |
| სიენა | 24 | 10 | 11 | 3 | 27:18 | 41 |
| ანკონა | 24 | 11 | 8 | 5 | 35:27 | 41 |
| ტრიესტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 34:25 | 39 |
| ვიჩენცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36:29 | 39 |
| ლივორნო | 24 | 10 | 6 | 8 | 27:19 | 36 |
| ლეჩე | 24 | 8 | 12 | 4 | 27:22 | 36 |
| ტერნანა | 24 | 9 | 7 | 8 | 28:25 | 34 |
| პალერმო | 24 | 9 | 6 | 9 | 23:25 | 33 |
| ვენეცია | 24 | 9 | 6 | 9 | 25:29 | 33 |
| კალიარი | 24 | 9 | 6 | 9 | 24:29 | 33 |
| მესინა | 24 | 7 | 10 | 7 | 33:30 | 31 |
| ვერონა | 24 | 7 | 9 | 8 | 28:26 | 30 |
| ასკოლი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:31 | 30 |
| ჯენოა | 24 | 7 | 7 | 10 | 30:30 | 28 |
| კატანია | 24 | 8 | 4 | 12 | 28:37 | 28 |
| ნაპოლი | 24 | 5 | 10 | 9 | 26:33 | 25 |
| ბარი | 24 | 4 | 12 | 8 | 21:25 | 24 |
| კოზენცა | 24 | 6 | 5 | 13 | 20:31 | 23 |
| სალერნიტანა | 24 | 4 | 5 | 15 | 16:40 | 17 |

## პორტუგალია

**I ლიგა. XXIV ტური**

**ბოავიშტა 2:1 ბრაგა**

1:0 პაულუ ტურა (8), 1:1 არტურ ჟორჟე (48), 2:1 ედერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 19 | 3 | 1 | 51:19 | 60 |
| ბენფიკა | 23 | 15 | 5 | 3 | 49:17 | 50 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 39:25 | 48 |
| გიმარაეში | 24 | 11 | 5 | 8 | 39:32 | 38 |
| ლეირია | 24 | 10 | 6 | 8 | 36:34 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 11 | 2 | 11 | 35:37 | 35 |
| ბელენენსეში | 24 | 8 | 7 | 9 | 31:33 | 31 |
| ბოავიშტა | 24 | 7 | 9 | 8 | 23:22 | 30 |
| ფერეირა | 24 | 8 | 6 | 10 | 26:33 | 30 |
| ვარზიმი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:32 | 29 |
| ნასიონალი | 24 | 7 | 8 | 9 | 26:30 | 29 |
| ბრაგა | 24 | 7 | 8 | 9 | 22:34 | 29 |
| მარიტიმუ | 24 | 8 | 3 | 13 | 27:40 | 27 |
| აკადემიკა | 24 | 6 | 7 | 11 | 26:35 | 25 |
| მორეირენსე | 24 | 5 | 9 | 10 | 27:33 | 24 |
| სანტა კლარა | 24 | 5 | 9 | 10 | 28:37 | 24 |
| სეტუბალი | 24 | 4 | 10 | 10 | 26:33 | 22 |
| ბეირა მარი | 24 | 5 | 7 | 12 | 26:40 | 22 |

## ჩეხეთი

**XVIII ტური**

**სლავია 3:1 პრჟიბრამი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 18 | 11 | 6 | 1 | 37:11 | 39 |
| სპარტა | 18 | 12 | 3 | 3 | 29:9 | 39 |
| ლიბერეცი | 18 | 10 | 2 | 6 | 28:22 | 32 |
| ტეპლიცე | 18 | 10 | 2 | 6 | 23:19 | 32 |
| ბანიკი | 18 | 9 | 4 | 5 | 29:20 | 31 |
| ჟიჟკოვი | 18 | 9 | 4 | 5 | 25:22 | 31 |
| სინოტი | 17 | 8 | 4 | 5 | 22:19 | 28 |
| პრჟიბრამი | 18 | 5 | 6 | 7 | 17:19 | 21 |
| ბლშანი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:21 | 21 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 6 | 3 | 9 | 23:31 | 21 |
| ბრნო | 18 | 5 | 5 | 8 | 19:21 | 20 |
| იაბლონეცი | 18 | 4 | 8 | 6 | 19:27 | 20 |
| ზლინი | 18 | 4 | 6 | 8 | 19:29 | 18 |
| სიგმა | 17 | 3 | 5 | 9 | 15:21 | 14 |
| ბოჰემიანსი | 18 | 2 | 6 | 10 | 24:39 | 12 |
| ჰ. კრალოვე | 18 | 1 | 9 | 8 | 15:31 | 12 |


UAB "Biljjardai"

Zeus Company

ზევსი

Biljjardai

ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელების



saluc

Master

საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას

კონსულტაციები, გარანტია

ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია

ტ:95-57-75. ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი. ჭონაძის ქ. N2 (ვოფ. კამი)



# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ჩემპიონი სარდაფში

## არგენტინა
### კლაუსურა

**მე-3 ტური: სან ლორენსო — უნიონი 0:2; ოლიმპო — ინდეპენდიენტე 3:0;ველეს სარსფილდი — ურაკანი 2:0; ლანუსი — ნუევა ჩიკაგო 1:2; ხიმნასია — როსარიო სენტრალი 0:4; რასინგი — ტალერესი 2:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 0:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — არსენალი 2:0; კოლონი — რივერ პლეიტი 0:2; ბოკა ხუნიორსი — ბანფილდი 3:1**

„ინდეპენდიენტე“ ჩემპიონი კია, მაგრამ მესამე ტურია, გოლი ვერ გაუტანია და ქულა ვერ აუღია. ახლაც, 0:3 წააგო პატარა „ოლიმპოსთან“ და ცხრილში ბოლო ადგილზეა.

ამასობაში კი, ზედიზედ მესამედ მოიგო ოსვალდო არდილესის „რასინგმა“, რომელიც სათავეში უდგას არგენტინის დამხურავი ჩემპიონატის ცხრილს.

პროვინციულმა „ოლიმპომ“ ჩემპიონი სილვიო კარარიოს, ვენესუელელი ექტორ გომესის და ედუარდო დომინგესის გოლებით დააშამათა.

„რასინგმა“ „ტალარესს“ სძლია 2:0 და ამ კვირაში ლიბერტადორესის თასის გათამაშებაშიც წარმატებით ჩაერთო. „ტალარესთან“ თამაშის პირველ ტაიმში კი რასინგელებმა პენალტი გააფუჭეს: მეკარე ლუის ისლასმა ჩილელი მილოვან მიროსევიჩი მოცელა და წითელი ბარათით გავიდა მოედნიდან. კარში დუბლიორი სესარ ლა პალია ჩადგა, რომელშიც დიეგო მილიტოს დარტყმული აიღო. მილიტომ მაინც გაიტანა თავისი გოლი ამ მატჩში, მეორე ბურთის ავტორი კი ლუის რუედა იყო. მესამედ მოიგო „ველეს სარსფილდმაც“, რომელიც მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება „რასინგს“. „ველესმა“ რობერტო ნინის და ნელსონ გუტიერესის გოლებით სძლია „ურაკანს“. ორივე გუნდს კი თითო კაცი გაუძევეს: მოგებულებს მაქსი პელეგრინო, წაგებულებს ლოპეს როხასი.

თავთავიანთი თამაშები მოიგეს „ბოკა ხუნიორსმა“ და „რივერ პლეიტმაც“. „ბოკამ“, რომელიც თავიდან აგებდა „ბანფილდთან“, ჯამში სამი გაიტანა, ამათგან ორი — გილერმო ბაროს შელოტომ. „რივერს“ გასვლა ჰქონდა „კოლონთან“, სტადიონზე, რომელსაც „სპილოების სასაფლაოს“ უწოდებენ, რახან „კოლონი“ შინ ხშირად ამარცხებს ხოლმე დიდებს. თუმცა, ამჯერად, სპილოს დასაფლავება არ გამოვიდა: ფერნანდო კავენაგიმ და ლუშო გონსალესმა თითო უპასუხო გაუტანეს მასპინძლებს.

### ონორიო ბუსტოს დომეკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ველესი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| როსარიო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ოლიმპო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| უნიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ესტუდიანტესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ოლდ ბოიზი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| რივერ პლეიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კოლონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ხიმნასია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ნუევა ჩიკაგო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ლანუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| სან ლორენსო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| ჩაკარიტა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| არსენალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ურაკანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ბანფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ტალიერესი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ინდეპენდიენტე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |


REUTERS

ბოკა ხუნიორსი — ბანფილდი.
გილერმო ბაროს შელოტომ (მარჯვნივ) თავი ორი გოლით გამოიჩინა



# ზიკო პროსტიტუციის წინააღმდეგ
## კობრას ფეხზე ბურთი აყვავდა

**მსოფლიოს** ჩემპიონობით გამოწვეული სიხარული ბრაზილიაში ჯერაც არ განელებულა, მაგრამ განა ყველა ბრაზილიელს უხარია პენტაკამპეონობა? ვინ შეიძლება იყოს ასეთი? ვინ და, მაგალითად... ზიკო. აი, რა თქმა მან: „ბრაზილიური ფეხბურთისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენს ნაკრებს ფინალამდე გამოაგდებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ ეს გამარჯვება ფარავს იმ სიბინძურეს, რომელშიც ბრაზილიის ჩემპიონატია ამოთხვრილი. ჩემს გუნდს (ზიკო საფეხბურთო კლუბის მეპატრონეა) მუდმივად ჩაგრავენ მსაჯები და დიდმოხელეები. ამის გამო უმაღლეს დივიზიონში ვერ ავზევდით. რიო დე ჟანეიროში იყო უდიდესი კლუბი — „ბოტაფოგო“. ნახეთ, საღამდე ჩამოქვეითდა თავისი პატრონების გამო. აქ რამეს რომ მიაღწიო, მეძავი უნდა იყო, მე-ძა-ვი!“ ზემოთქმულის ავტორს ახლახან 50 წელიწადი შეუსრულდა.

ბრაზილიაში ბურთის ჯადოქრებს „კობრას“ უწოდებენ. ზიკოც „კობრაა“. 1966 წელს, როცა მან პირველად შეაბიჯა „ფლამენგოს“ სტადიონზე, 13 წლის იყო. მწვრთნელთან, მოდესტო ბრიასთან, იგი იქაური რადიოს რეპორტიორმა სელსო გარსიამ მიიყვანა. ეს ბიჭი ნახეთ, დიდი ფეხბურთელი დადგებაო. მოდესტოს ზიკოს დანახვა სასაცილოდ არ ეყო. მეტრანახევარი სიმაღლის, 37 კილოგრამი ბალღისგან რა უნდა გამოვიდესო. ზიკოს ბურთი მიაწოდეს და მწვრთნელი პირღია დატოვა. 13 წლისას ბურთით ყველაფერი შეეძლო. ურტყამდა კარის ნებისმიერ წერტილში მოდესტო ბრაიას შეკვეთით და ბავშვთა გუნდში აიყვანეს.

მერე ბავშვი ექიმებს გადაულოცეს. გამოკვებეს, ავარჯიშეს, მოალონიერეს და ისე გამოძერწეს, რომ კაცად იქცა, მტვერში ნაგორავები ბურთით ნასწავლ ფინტებს კი დახვეწა თითქმის აღარ სჭირდებოდა.

70-იანი წლების დასაწყისში ზიკო „ფლამენგოს“ ჯიგარი გახდა. იგი მარიო ზაგალოს სანაკრებოდ ურჩიეს. ზაგალომ იუარა და 1974-ში მის ნაცვლად გერმანიაში „ტანკად“ წოდებული დარიო წაიყვანა. დარიო ქვეყნის იმჟამინდელი მმართველი გენერლების კერპი იყო. ნაკრებს მიღმა დარჩენილმა ზიკომ ამის გამო გვარიანად ინერვიულა, მაგრამ ეს ნერვიულობა ვერ მივა 1986 წლის 21 ივნისში მომხდართან. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთთან მეოთხედფინალში მან თერთმეტმეტრიანი გააცუდა და ბრაზილია შინ გაბრუნდა. სოკრატესმა, ფალკაომ, ჟუნიორმა და ზიკომ ისე დაასრულეს კარიერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას ვერ შესწვდნენ.

მანამდე, 1981 წლის 13 დეკემბერს, „ფლამენგომ“ ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. ბრაზილიელებმა „ლივერპული“ 3:0 გაანადგურეს, მერე კი ზედიზედ ორჯერ ზიკომ ბრაზილიის ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი.

ზიკომ თავის კარიერაში 722 გოლი გაიტანა. იგი უნივერსალური ფეხბურთელი იყო. თამაში შეეძლო თავდასხმაშიც, მოედნის ცენტრშიც და ფლანგებზეც. მისი ფინტი, პასი და დარტყმა ქომაგთ სიამოვნებას ჰგვრიდა. ლურსმანზე ბუცების ჩამოკიდების შემდეგ ზიკომ რიო დე ჟანეიროში საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა — FCZ, ანუ საფეხბურთო კლუბი ზიკო.

1991-ში მას ბურთის გაგორება მოენატრა და იაპონიაში წავიდა. ჯერ თამაშობდა, მერე მწვრთნელობა დაიწყო და „კაშიმა ანთლერზის“ თავკაცად დანიშნეს. ის იქაურთა კერპი გახდა, რადგან იაპონელები ბრაზილიური ფეხბურთის რიტმებს აზიარა. ამომავალი მზის ქვეყანაში მის შრომას უქმად არ ჩაუვლია. განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი უბოძეს და 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე ზიკო, ალბათ, თავის სიტყვას იტყვის. ლამაზად თქმა კი ნამდვილად შეუძლია.

აი, რა თქვა მან ბურთზე. „ბურთი ყვავილია, ზიკოს ფეხებთან რომ იზრდება და გოლის სურნელს აფრქვევს“. ეს ზიკოა.

**მაშა ხუციშვილი**

## სამხრეთული დარდუბალა

# გაშალით თითს და იტრიალებთ
### როგორ მოვსპოთ ნივთმტკიცება
### მსროლეთ მსაჯს ყინული!

**ეს რაღაც ახალია:** ტრიბუნებიდან ბოთლების, ქვების, სანთებელების, მობილური ტელეფონების, მაშხალების, მოგლეჯილი სკამების სროლა გაგვიგია. ჰო, „კამპ ნოუზე“ ღორის თავებსაც ისვრიან, როცა იქ ლუიშ ფიგუ ჩადის, ერთხელ არგენტინაში ფეხბურთელებს ძაღლიც მიუქსიეს, მაგრამ ყინულის სროლა ჯერ არ გვსმენია და აურზაურის მოყვარულ ქომაგებს შეუძლიათ თავის არსენალში შეიტანონ. ჭკვიანურიცაა: დაღნება და ეძებე მერე ნივთმტკიცება.


ფაუსტინო ასპრილია

ყინული წინა უქმეებზე ეკვადორში ისროლეს და მსაჯს გაარტყეს. ეს ამბავი კიტოური დერბისას მოხდა, „დეპორტივოსა“ და „ბარსელონას“ მატჩში. გაგულისებულმა ქომაგებმა არც თანამსაჯი დაინდეს, მაგრამ მისთვის განკუთვნილი ყინული ეტყობა ხელში შემოადნათ და ფორთოხლები აკმარეს. ნაყინულარმა არბიტრმა ალფრედო ალტამირანომ შეხვედრა 37-ე წუთზე შეწყვიტა.

ეს მატჩი პირველი ტურისა იყო, რომელიც ათიოდე დღის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მსაჯთა საყოველთაო გაფიცვის გამო ეკვადორის ჩემპიონატის დაწყება ერთი კვირით გადაიდო. შეგახსენებთ, რომ მსაჯები ხელფასების 40 პროცენტით გაზრდას და შარშანდელი ვალების გასტუმრებას ითხოვდნენ. ფედერაციას მსაჯთა მოთხოვნა თავდაპირველად სასაცილოდ არ ეყო — შარშანდელი ხელფასები ვერ გაგვისტუმრებია და წლევანდელი ჯამაგირები რომელი ფულით გაგიზარდოთო. მაგრამ როცა შეატყვეს, რომ მსაჯები არ ხუმრობდნენ, ჯიბეები მოიქექეს და 15 პროცენტით გასაზრდელი ფული აღმოაჩინეს. ამიერიდან მსაჯი ერთ მატჩში გაწეული სამსახურისთვის 230 დოლარს მიიღებს.

ეკვადორის ჩემპიონმა „ემელეკმა“ კი ტიტულის დაცვა პირველ ტურში „აუკასის“ ძლევით დაიწყო.

პირველი ტური იყო პერუშიც და აქაც ერთი მატჩი ჩაიშალა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით. ჩემპიონატის დაწყების წინ ფედერაციამ კლუბებისგან ბოლო სამი წლის ფინანსური დოკუმენტები მოითხოვა. მიზეზიც გონივრული დასახელდა: ფეხბურთელები მალიმალ ჩივიან, ხელფას-პრემიებს დროულად ვერ გვისტუმრებენო და ფედერაციაც დაინტერესდა, ასეთი რა გაჭირვება აქვთ ჩვენს კლუბებსო.

კლუბებს ეს მოთხოვნა ვინძლო არ ეამათ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამთ, შავი ბუღალტერია გაათეთრეს და უფროსობას აახლეს. მხოლოდ დებიუტანტი „დეპორტივო ვანკა“ გაჯიუტდა, მისმა დირექტორმა ალფონსო მირანდამ კი განაცხადა: „თამაშის წინა დღეს გვითხრეს, რომ დოკუმენტები უნდა მიგვეტანა. ასე უცებ როგორ მოვახერხებდით და როცა ამის სათქმელად პირი გავაღე, ფედერაციის კარი ცხვირწინ მომიხურეს“. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ტიტო კოსტანოლიმ ამის პასუხად მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი საფეთქელზე რამდენჯერმე დაატრიალა.

ერთი სიტყვით, „დეპორტივოს“ ლიმას „ალიანსასთან“ წაგება ჩაეთვალა, ხოლო ამ კვირაშიც თუ არ წარადგენს დოკუმენტებს, ჩემპიონატიდან მოკვეთენ.

ჩილეს ჩემპიონატის ტურმა კი მშვიდად ჩაიარა. ფაუსტინო ასპრილიამ, „უნივერსიდად დე ჩილეში“ გადასვლის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. სტუდენტებმა წყალწაღებულ „ტემუკოს“ 6:0 მოუგეს, ასპრილიამ კი პენალტით შეაგდო. ჩემპიონმა „კოლო კოლომ“ 2:0 დაამარცხა „პალესტინო“, ოღონდ ბებერი ივან სამორანოს გარეშე. სამორანო წინა კვირაში, ლიბერტადორესის თასზე არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან“ საშინაო მატჩისას დაიმტვრა.

**კოტე კეკელია**



# ოპიუმი ხალხისთვის: დმიტრი პიტერმანი

## რასინგში სამმაგად ახტუნავდა

*სანტანდერი პატარა ქალაქია, ასე, 200 ათასი კაცი ცხოვრობს. იქაური „რასინგიც“ პატარა კლუბია, 90 წელია არსებობს და არაფერი მოუგია. ერთი სიტყვით, პროვინციული სიმშვიდეა. უფრო სწორად, იყო, რადგან სანტანდერელთა ცხოვრებაში დმიტრი პიტერმანი შეიჭრა, იქაურობა ააფორიაქა, ხალხი გრანდიოზული გეგმებით გააბრუა და პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ ყველაზე დაბალბიუჯეტიან კლუბს ჩემპიონთა ლიგას დაპირდა.*

*პიტერმანამდე ესპანურ ფეხბურთში სიმშვიდეს მხოლოდ ხესუს ხილი ხილის გიჟური გამოხტომები და ფლორენტინო პერესის გიჟური ტრანსფერები არღვევდა.*

**დმიტრი პიტერმანის** პრიმერადივიზიონში შეჭრა მოულოდნელი არც ყოფილა. ის მთელი ორი წელი ელოდებოდა, რომელიმე კლუბი აქციებს გასაყიდად როდის გაიტანდა. იქამდე კი მესამე დივიზიონის „პალამოსს“ პატრონობდა. მოლოდინი ამა წლის 18 იანვარს დასრულდა, როცა ამერიკული პასპორტის მქონე 39 წლის ოდესელმა ბიზნესმენმა „რასინგის“ აქციების 24,6 პროცენტი იყიდა. უმსხვილესი აქციონერი გახდა და კლუბის პრეზიდენტის სავარძელშიც მოკალათდა. მისი პირველი ნაბიჯები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ და იქამდეც ვწერდით, არათუ სანტანდერისთვის, კანტაბრიის პროვინციისთვისაც და სრულიად ესპანეთისთვის შოკის მომგვრელი გამოდგა.

გავიხსენოთ: თავდაპირველად პიტერმანმა მწვრთნელ მანუელ პრესიადოს მადლობა გადაუხადა, კარამდე მიაცილა და ზურგსუკან მიუჯახუნა. პრესიადოს მისი ყველა თანაშემწეც მიაყოლა. რამდენიმე დღეში პრეზიდენტმა „პალამოსიდან“ ოთხი ფეხბურთელი და იქაური მწვრთნელი ხესუს გომეს „ჩუჩი“ კოსი წამოიყვანა, ოღონდ მწვრთნელად... საკუთარი თავი დანიშნა, კოსი კი თანაშემწედ დაიყენა.

აქ ახლადგამომცხვარ პრეზიდენტ-მწვრთნელს პრობლემები შეექმნა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას მწვრთნელის ლიცენზია მოსთხოვა, მაგრამ პიტერმანს რაც არ ჰქონდა, რას აჩვენებდა. ჰოდა, მას მატჩების დროს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა აუკრძალეს. მაგრამ პიტერმანი ხომ ოდესელია — კლუბის ფოტორეპორტიორად გაფორმდა და კარს უკან დაჯდა. სათადარიგოთა სკამზე კი კოსი დასვა და მობილური ტელეფონით დაუწყო კარნახი. ფედერაციამ ამ ხრიკს ვერაფერი დაუპირისპირა და დანებდა, გიჟია, რაც უნდა ქნასო. პიტერმანმა კი მაინც გაჰკრა კბილი ესპანური ფეხბურთის მამებს: ეგ რაღაც ლიცენზია იოჰან კრუიფსაც არ ჰქონია და რატომ არ მოთხოვეთო.

პიტერმან-ფეხბურთელის კარიერა კრუიფისაზე მალე დასრულდა და მაინცდამაინც წარმოსაჩენი არ გახლდათ. ბავშვობაში ოდესის ერთ-ერთი უბნის გუნდში თამაშობდა და მხოლოდ ქალაქის პირველობაზე საუკეთესო ბომბარდირის ტიტულით დაიკვეხნის. 14 წლისა მშობლებთან ერთად ამერიკაში წავიდა და მისი ფეხბურთელობაც ამით დამთავრდა. აბა, ამერიკაში იმხანად ვის აინტერესებდა ევროპული სოკერი.

სკოლა ამერიკაში დაამთავრა, ბერკლის უნივერსიტეტში არქიტექტორის დიპლომი მიიღო, დისერტაცია დაიცვა და ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში გადაბარგდა.

აღთქმულ მიწაზე პიტერმანმა ოთხი წელი იცხოვრა და ფულის შოვნისგან თავისუფალ დროს სამმაგად დახტოდა. კარგადაც გამოსდიოდა — მთლად სანეევივით არა, მაგრამ ისრაელის რეკორდი კი დაამყარა ჭერქვეშ და სულ ცოტა დააკლდა, თორემ 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზეც მოხვდებოდა.

„რასინგში“ მისვლის მერე პიტერმანმა ზედიზედ ორი მატჩი — „ოსასუნასთან“ და „ვალიადოლიდთან“, წააგო — თან პამპლონაში ყველასგან, რა ხანია, მივიწყებული ტაქტიკური სქემა გაიხსენა — ოთხი ფორვარდით ითამაშა.

კრიტიკა დაუნდობელი იყო. ჟურნალისტებმა ირონიისა და სარკაზმის მთელი წლის მარაგი მაშინვე მასზე ამოანთხიეს.

მერე კი საქმეები უცნაურად წავიდა. „რასინგმა“ ზედიზედ სამი თამაში მოიგო, შვიდი გოლი გაიტანა, ერთიც არ გაუშვა და გაზეთების ტონიც შეიცვალა. პიტერმანმაც თავი სიტუაციის ბატონ-პატრონად იგრძნო და პრესაზე იქით გაიწია. მთავარ კრიტიკოსს, კანტაბრიული რადიოს სპორტული რედაქციის შეფს, ვალტერ გარსიას კლუბის ტერიტორიაზე შესვლაც კი აუკრძალა.

დმიტრი პიტერმანი უკვე თვენახევარია „რასინგის“ პრეზიდენტია და ფეხბურთელებიც მის უსიტყვო მორჩილებას შეეგუენ. სხვათა შორის, საწუწუნოც არაფერი აქვთ: პრეზიდენტი მათთან ერთად თავდაუზოგავად ვარჯიშობს და პრემია-ჯარიმების თავისი სისტემაც შემოიღო — მოგებისთვის გუნდი 300 ათას ევროს იღებს, წაგების შემთხვევაში კი ამდენივე აკლდება.

დღეისთვის „რასინგი“ ცხრილში მეცამეტე ადგილზეა. პიტერმანი ხალხს გუნდის ჩემპიონთა ლიგაში თუ არა, უეფას თასზე უეჭველად გაყვანას ჰპირდება.

**გიორგი დარჯანია**

# ესპანეთის სამეფო თასი დღეს

## ნახევარფინალის საპასუხო მატჩები

### მალიორკა — დეპორტივო

### ოსასუნა — უელვა

# თასი კუნძულზე

## უელვასი 114 წელი არ გვეშინია!

**დღეს** სამეფო თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩებია, თასის მფლობელი „დეპორტივო“ ბალეარის კუნძულებს სტუმრობს, სადაც პალმა დე მალიორკაში იქაურ „რეალ მალიორკასთან“ შეეცდება საშინაო შარის ხეირად ქცევას — ლა კორუნიაში სტუმრებმა 3:2 მოიგეს. მეორე მატჩი პამპლონაშია, „ოსასუნა“ „უელვას“ მასპინძლობს, რომელთანაც პირველ მატჩში 0:2 წააგო.

„მალიორკელებს მათთვის უსიამოვნო სიურპრიზს ვუმზადებთ — საიდუმლოს ფარდა ახადა გალისიელმა მცველმა ექტორმა — მათ თავი უკვე ფინალში ჰგონიათ, ჩვენ კი მეორედაც ვაპირებთ თასის მოგებას და არაფერს დავთმობთ“.

არადა, მათი პირველ მატჩი თუ გახსოვთ, ბოლო წუთებამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, „მალიორკას“ მართლაც წინასწარ უნდა ეზეიმა ფინალში გასვლა. სტუმრები 83-ე წუთამდე 3:0 იგებდნენ და „დეპორტივომ“ დარჩენილ უმცირეს დროში მოახერხა ორი ბურთის გაქვითვა — დიეგო ტრისტანმა პენალტი გაიტანა, როი მაკაიმ კი წამატებულ დროში, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე იხეირა.



წინა სეზონში ასე იყო: ექტორი და ლუკე მეტოქეები იყვნენ

წინასწარ ისე ჩანს, რომ ფავორიტი „დეპორტივოა.“ ხავიერ ირურეტას გუნდი ბოლო ხუთ პრიმერადივიზიონულ შეხვედრაში არ დამარცხებულა, ლიდერ „რეალს“ ოდენ სამი ქულით ჩამორჩება და ჩემპიონთა ლიგაშიც მეოთხედფინალში გასვლის არცთუ ურიგო შანსი აქვს. ამის საპირისპიროდ, „მალიორკას“ შვიდი ტურია, არ მოუგია და ერთ დროს მეორეადგილოსანი, ცხრილში მე-16 ადგილზე ბოგინობს.

მაგრამ ახლა საკითხი ასე დავსვათ: ვის უფრო სჭირდება მოგება? „დეპორტივოს“ თვალი ჩემპიონობისკენ უჭირავს, „მალიორკას“ კი უეფას თასზე მოხვედრის ერთადერთ შანსად თასის მოგება რჩება. თუმცა, ცხადია, სურვილი ერთია და შესრულება, მეორე.

„მალიორკას“ და „დეპორტივოს“ დაპირისპირებას ერთი ინტრიგაც ახლავს. მოგეხსენებათ, სეზონის წინ გუნდებმა ფორვარდები გაცვალეს. გალისიელებმა ალბერტო ლუკე წაიყვანეს, ბალეარელებმა კი ვალტერ პანდიანი. დღევანდელი შეხვედრის წინ ლუკემ თქვა: „მალიორკას“ თასის ფინალში გასვლის ბრწყინვალე შანსი აქვს, ფინალშიც მეტოქედ ან „ოსასუნა“ ეყოლება, ან „უელვა“, ერთი სიტყვით, არცთუ უძლიერესი მეტოქე. ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელებმა ეს იციან და თავს დადებენ, ეს შანსი რომ არ გაუშვან ხელიდან. ის, რომ დივიზიონში „მალიორკა“ ძალიან ცუდად თამაშობს, არაფერს ნიშნავს. ოთხშაბათს ჩვენ სულ სხვა გუნდი დაგვხვდება“.

უნიკალური შანსი აქვს „უელვასაც“ — 114-წლიან ისტორიაში მოკრძალებული ანდალუზიური გუნდი არასდროს გასულა თასის ფინალში და პირველი მატჩის მერე გვარიანი ფორაც აქვს. მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყოს, „ოსასუნამ“ ბოლო ტურებში „რეალი“ დაამარცხა, „ბარსელონას“ კი ფრედ ეთამაშა.

**გიორგი დარჯანია**




ივან ელგერა „რეალს“ 15 დღით დაემშვიდობა

# სჯობს მოვიცადოთ

## მილანი მოიცდის

**უსიხარულო** ცნობა მოვიდა მადრიდის „რეალის“ სამედიცინო შტაბიდან. „რუბენ ინტერნეშენალში“ (მადრიდული კლინიკაა) ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ივან ელგერას მარჯვენა კოჭ-სახსრის მყესის მეორე ხარისხის დაჭიმულობა აქვს. ეს არცთუ ყველასთვის გასაგები დიაგნოზი ჩვენ ენაზე რომ მოვთარგმნოთ, გამოვა, რომ მადრიდელი მცველი დაიმტვრა და დაახლოებით 15 დღე ვერ ითამაშებს.

„რეალის“ სამედიცინო სამსახურის უფროსის, დოქტორ ხუან კარლოს ერნანდესის თქმით, თუ მკურნალობა მოსალოდნელი ტემპით გაგრძელდება, ელგერა ვარჯიშს 10 მარტს განაახლებს — „მილანთან“ შეხვედრამდე სამი დღით ადრე და თეორიულად თამაშის საშუალებაც ექნება, მაგრამ ექიმი მწვრთნელს აფრთხილებს, აჩქარება არ გვმართებს, ვაითუ ტრავმა გაუმიზეზდეს და 15 მარტამდე მოვიცადოთო.

„რეალი“, ფაქტობრივად, ერთი ცენტრალური მცველის — ფრანსისკო პავონის — ამარა დარჩა და ამგვარად ორი კვირა მოუწევს თამაში. ამ პერიოდში „მილანის“ გარდა მადრიდელები პრიმერადივიზიონის ტურში „რასინგსაც“ ხვდებიან.

თუმცა ეგებ პავონმა ეულად არ იგრძნოს თავი და ვისენტე დელ ბოსკეც მეტ-ნაკლებად დამშვიდდეს — გუშინ რუბენისთვის, რომელიც ასევე ცენტრალური მცველია, მორიგი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაეტარებინათ და თუ ექიმებმა კმაყოფილებით დააქნიეს თავები, ყმაწვილმა ფეხბურთელმა შესაძლოა, უკვე ამ უქმეებზე ითამაშოს.

დოქტორი ერნანდესი ფერნანდო იეროს ტრავმასაც გადასწვდა: „იერო უკვე ვარჯიშობს და მისი „მილანთან“ თამაში გამორიცხული არ არის. დღეისთვის მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ შაბათს ის გუნდს ვერაფრით დაეხმარება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სეზონის გადამწყვეტი ფაზა ჯერ წინაა, იერო კი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა, აჩქარებას არ ვურჩევ. სჯობს, ცოტაც მოითმინოს“.

**კოტე ძიძელია**

*„იუვენტუსზე“ უკვე განსაკუთრებული ტონით ალაპარაკდნენ და ეს „ბებერი ქალბატონის“ მიერ „ინტერის“ ეფექტური (3:0) ძლევის შემდეგ მოხდა. როგორც ჩანს, კონკურენტებიც ძალიან მოხიბლა კვირას „დელე ალპიზე“ ჩატარებულმა შეხვედრამ.*

# მაგარი, ნახევართამაშა და მოღალატე




პაველ ნედვედის და მარჩელო ლიპის „იუვენტუსი“ სკუდეტოს უპირველეს ფავორიტად შერაცხეს, მასთან ამ უქმეებზე დამარცხებულ „ინტერს“ კი საჩემპიონო შანსი შეუმცირდა



„მილანის“ გამთამაშებელმა, პორტუგალიელმა მანუელ რუი კოშტამ ასე თქვა:

„კვირის შეხვედრამ „იუვენტუსისა“ და ჩვენი რამდენიმე თვის წინანდელი მატჩი გამახსენა. მაშინ დავმარცხდით — 1:2. ტურინელები ბრწყინვალედ თამაშობდნენ და ისინი, რომ იტალიის ჩემპიონები არიან, შემთხვევითი ნამდვილად არ არის. თუ ჩვენ სკუდეტო გვინდა, სწორედ მათ უნდა მოვუგოთ“.

იტალიურმა გაზეთმა „ლა გაძეტა სპორტივამ“ კი სერია A-ს მიმდინარე სეზონის სამივე ფავორიტის, „იუვენტუსის“, „მილანისა“ და „ინტერის“ თამაში გააანალიზა, რის შემდეგაც ნომერ პირველ ფავორიტად ტურინელები მოიხსენა.

„მისი სიძლავრე შთამბეჭდავია — წერს გაზეთი — მას მერე, რაც დელ პიერო დაშავდა (2 თებერვალი, ბერგამო), ეს გუნდი მხოლოდ იგებს („ემპოლი“, „პარმა“, „კომო“, „ინტერი“) და თან გვარწმუნებს, რომ უძლიერესია. დღევანდელ „იუვეში“ ნედვედის როლი საგანგებოა, მონუმენტალურია. გადაადგილებების მიუხედავად (ძამბროტა დაცვის მარცხენა ფრთაზე, დი ვაიო თავდასხმის იმავე ფრთაზე) გუნდი სინქრონულად მოქმედებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ლიპის დამსახურებაა. ძლიერი პრესინგი და გამანადგურებელი შეტევები „იუვენტუსს“ მთავარ ფავორიტად მიგვაჩნევინებს. შემდეგი თამაში ტურინელებს უდინეში აქვთ, სადაც ჯერ არავის მოუგია. მაგრამ „უდინეზესაც“ არ ეყოლება პიზარო და იაკინტა — წამყვანი ფეხბურთელები. ამის შემდეგ იქნება ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი „დეპორტივოსთან“ და „სან სიროზე“, „მილანთან“ დაპირისპირება“.

„მილანი“... მასზე „ლა გაძეტა სპორტივა“ წერს, რომ თუ კარლო ანჩელოტი გუნდს შესვენებისას კი არა, თავიდანვე დაქოქვას მოახერხებს, „შავწითლები“ ნებისმიერ ამოცანას გადაწყვეტენ. ცნობისთვის, მილანელებმა მეორე წრეში 18 შესაძლებლიდან 8 ქულა მოიპოვეს, ხოლო შინ, „ლაციოსა“ და „ატალანტას“ ორზე მეტი ვერ დაატოვებინეს. კალენდარი რთულია: „კიევო“, „რეჯინა“, „იუვენტუსი“, „პარმა“ და „ინტერი“.

სატრანსფერო ბაზრიდან კი „მილანი“ „ლაციოში“ მოთამაშე თავდამსხმელ ბერნარდო კორადის ელის. მოგეხსენებათ, ეს ფორვარდი წინა სეზონში „კიევოში“ თამაშობდა და კინაღამ „ინტერში“ გადავიდა, მაგრამ ერნან კრესპოს კომბინაციაში მოჰყვა და საბოლოოდ რომში ამოჰყო თავი. ისე კი, „ლაციო“ ფინანსურ კრიზისშია და არ არის გამორიცხული, ფულის საშოვნელად აწ უკვე იტალიის ნაკრების წევრი მართლა გაჰყიდოს.

„ჩვენ ამ ზაფხულზე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ვგეგმავთ, მაგრამ სატრანსფერო პოლიტიკაც უცვლელი გვაქვს, იმ მოთამაშეებს, ვისაც მყისიერად შეუძლიათ გუნდის გაძლიერება, ვიყიდით, რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ თუ შევიძენთ, გავასესხებთ, რათა ითამაშონ“ — ამბობს „შავ-წითელთა“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი.

რაც შეეხება აიაქსელ მცველს, რუმინელ კრისტიან კივუს, იგი „აიაქსში“ დარჩება.

„კივუს არ ვიყიდით. საერთოდ კი, გვარების დასახელებას მოვერიდები, რადგან მერე, დასახელებულ ფეხბურთელებზე ფასებს ასწევენ“ — დასძინა გალიანიმ.

ხოლო „ინტერის“ მოთამაშეები „იუვენტუსთან“ მარცხის შემდეგ ძირითადად ქომაგებისთვის ბოდიშის მოხდით არიან დაკავებულნი.

„ქომაგებს ვულალატეთ, მაგრამ არ დავნებდებით. წინ 11 ტურია. „იუვენტუსთან“ წაგებამ კი საგანგებოდ მატკინა გული, რადგან მე „ინტერის“ მაისურს უკვე ბევრი წელიწადით ვემსახურები“ — განაცხადა არგენტინელმა ხავიერ ძანეტიმ.

„წაგების შემდეგ პირველი ის ვიფიქრე, რომ ქომაგები ჩავარდებოდნენ ცუდ დღეში. ვიცი, ვულალატეთ, მაგრამ გამოსწორებასაც ვპირდები“ — თქვა მეკარე ფრანჩესკო ტოლდომ, უხეში შეცდომით „იუვენტუსის“ გამარჯვების ფუძემდებელმა.

„პირველი გოლი მეოთხე წუთზევე გავუშვით და ამან გაგვტეხა. მართალია, კონკურენტთან წავაგეთ, მაგრამ ჩემპიონობა მაინც გვწყურია“ — დასძინა მცველმა ფაბიო კანავარომ.

„ტაქტიკური შეცდომის გამო არ წაგვიგია. ჩვენ თავდადება და ხასიათის სიმტკიცე დაგვაკლდა“ — ბრძანა კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

სატრანსფერო ბაზრიდან კი, მომავალ ზაფხულს, „ინტერი“ „გალათასარაის“ თურქ ვარსკვლავს, ჰასან შაშს ელის.

„ლა გაძეტა სპორტივა“: „ეს იყო ზედიზედ მესამე მარცხი (თუ „ბარსელონასაც“ მივათვლით, მეოთხე) და მეოთხე უგოლო შეხვედრა. ბატისტუტა საკუთარ თავს აღარ ჰგავს. იგი „რომაშიც“ კი, პირველ წელიწადს, გაცილებით ძლიერი იყო. მერედა, მისი გუნდში ყოფნა კრისტიან ვიერის უკან დაწევას აიძულებს, ხოლო ალვარო რეკობას, ფრთაზე, რაც მისი საქმე არ არის“.

და, ბოლოს, „ლაციოზე“ გეტყვით.

„ვიცი, რომ ზოგ ჩრდილო-იტალიურ კლუბს სურს ჩემი ყიდვა, მაგრამ უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ მე „ლაციოს“ მოთამაშე ვარ!“ — განაცხადა დეიან სტანკოვიჩმა.

**პაპუნა ძედია**

# რიობერ, სამგლე ვითომ არ იქნები?

ბუნდესლიგაში მწვრთნელთა გაგდება მოდაშია — ბოლო სამ კვირაში სამ გუნდს გაუძევეს მოძღვარი — მესამე „ვოლფსბურგის“ დამრიგებელი ვოლფგანგ ვოლფი აღმოჩნდა, რომელიც გუშინ დაითხოვეს.

მანამდე ეს მძიმე ხვედრი კლაუს ტოპმიოლერმა და ჰანს მაიერმა გაიზიარეს — ისინი შესაბამისად „ლევერკუზენიდან“ და „გლადბახიდან“ დაიფრინეს.

ვოლფის „ვოლფსბურგმა“ დღემდე იმას მიაღწია, რომ მე-11 ადგილზეა და გასავარდნი ზონიდან ოდენ 5 ქულითაა დაცილებული. ზამთრის შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, არადა კლუბის ხელმძღვანელობა საამსეზონოდ უეფას თასის საგზურის მოპოვებას გეგმავდა. საამისოდ მათ არც ძვირადღირებული შტეფან ეფენბერგი იუარეს — ამ 34 წლის ნახევარმცველს „ვოლფსბურგი“ ძალიან დიდ ხელფასს რომ უხდის, კლუბის მთავარი სპონსორი „ფოლკსვაგენი“ ამაზეც წავიდა.

ვოლფი 45 წლის გახლავთ, იგი „ვოლფსბურგის“ გაწვრთნას 1998 წლიდან შეუდგა — მას შემდეგ, რაც გუნდი პირველად აღზევდა ბუნდესლიგაში.

„ვოლფსბურგი“ ჩემს გულთან ყოველთვის ახლოს იქნება. დარჩენილ მატჩებში გუნდს ძალუძს მხოლოდ წარმატებებს მიაღწიოს, თანაც მშვიდ ატმოსფეროში. ჩემს სამომავლო კარიერაზე დისკუსია კი „ვოლფსბურგს“ არაფერში წაადგება“ — მოკლედ მოჭრა თვალებში წყალჩამდგარმა ვოლფმა.




ვოლფგანგ ვოლფს იურგენ რიობერი შეცვლის

ფოლკსვაგენთში მისი მემკვიდრე მალევე მოუძებნიათ — „ვოლფსბურგს“ დღეიდან იურგენ რიობერი გაწვრთნის. ამ სპეციალისტმა ბერლინის „ჰერტაში“ მუშაობით დაიგდო სახელი. ის „ჰერტას“ 1996 წელს ჩაუდგა სათავეში და მომდევნო წელიწადს ბუნდესლიგაში ამოაყოფინა თავი. 1999-2000 წლების სეზონში კი „ჰერტამ“ ჩემპიონთა ლიგის სარბიელი დააჭაშნიკა და მეორე ეტაპზეც კი გავიდა. რიობერი ბერლინელებმა შარშან თებერვალში მოხსნეს. ისიც ვთქვათ, რომ რიობერს თვით მიუნხენის „ბაიერნშიც“ უთამაშია კარლ-ჰანც რუმენიგესა და პაულ ბრაიტნერის მხარდამხარ.

„იურგენ რიობერის სახით ისეთი მწვრთნელი გვყავს, ვისაც საკუთარი შესაძლებლობები ბუნდესლიგაშიც წარმოუჩენია და საერთაშორისო გამოცდილებითაც დაიკვეხნის“ — ბრძანა „ვოლფსბურგის“ თავმჯდომარე ლოთარ სანდერმა

**დავით თავართქილაძე**


სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-კოტბუსი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 002 | ჰერტა-მიუნხენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 004 | შალკე-არმინია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-ბოხუმი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 007 | ბაიერნი-ლევერკუზენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 008 | გალდბახი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 010 | ჰანოვერი-ჰანზა | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ალემანია-ფიურტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 012 | დუისბურგი-კიოლნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 013 | ბრაუნშვაიგი-ობერჰაუზენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 035 | ბაიერნი(მ)-ჰოფენჰაიმი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 036 | დარმშტადი-ოფენბახი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 048 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 24.00 | 049 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 050 | მანჩესტერი-ლიდსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 051 | ლივერპული-ბოლტონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 052 | ლივერპული-ბოსტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 060 | დერბი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.45 | 061 | ნორვიჩი-რედინგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 23.45 | 062 | უენსდი-ქოვენთრი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.45 | 063 | სტოკი-ბრაიტონი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 064 | ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 087 | სუინდონი-ჩელტენემი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

### იტალია. სერია "A". XXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 128 | ბოლონია-ინტერი | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 23.30 | 129 | რომა-ლაციო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 130 | ატალანტა-პარმა | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 18.00 | 131 | კომო-ბრეშა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 18.00 | 132 | ემპოლი-პიაჩენცა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.00 | 133 | მოდენა-პერუჯა | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 18.00 | 134 | ტორინო-რეჯინა | 3,2 | 3,3 | 2,05 | 1,62 | 1,24 | 1,26 |
| 18.00 | 135 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |
| 23.30 | 136 | მილანი-კიევო | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 137 | მილანი-კიევო 0:1 | 2,15 | 3,0 | 2,45 | | | |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 174 | რეალი-რასინგი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 175 | რეალი-რასინგი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.45 | 176 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 177 | დეპორტივო-ვილიარეალი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 24.00 | 178 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 179 | ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 00.30 | 180 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 181 | რაიო-სელტა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.00 | 182 | სევილია-ოსასუნა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 20.00 | 183 | მალაგა-ბილბაო | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 20.00 | 184 | უელვა-ესპანიოლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 21.00 | 185 | მალიორკა-ბეტისი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 186 | სოსიედადი-ალავესი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 20.15 | 200 | რენი-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 201 | ლიონი-აიაჩო | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 202 | ლიონი-აიაჩო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 23.00 | 203 | მონაკო-ბორდო | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 204 | სედანი-გენგამი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 23.00 | 205 | ნანტი-ლე ავრი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 206 | სოშო-ლილი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 207 | ტრუა-მონპელიე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.00 | 208 | ლანსი-ნიცა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 209 | ბასტია-სტრასბური | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 210 | მარსელი-პსჟ | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 225 | ალკმაარი-როდა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 226 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 22.30 | 227 | ტილბურგი-ტვენტე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 22.30 | 228 | ბრედა-გრააფსხაპი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 229 | ბრედა-გრააფსხაპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 230 | პსვ-ნაიმეგენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 231 | პსვ-ნაიმეგენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 232 | ზვოლე-აიაქსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 233 | ვიტესი-უტრეხტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 234 | გრონინგენი-როზენდალი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 17.30 | 235 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 252 | სტანდარდი-ლოკერენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 253 | მეხელენი-ბეერსხოტი | 3,6 | 3,6 | 1,5 | 1,8 | 1,05 | 1,05 |
| 23.00 | 254 | ვესტერლო-ლომელი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 255 | მუსკრონი-ბრიუგე | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 23.00 | 256 | ანტვერპენი-ლიერსი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 23.00 | 257 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 258 | შარლერუა-მონსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 259 | ბევერენი-ლუვიე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 260 | გენკი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |

### ჩეხეთი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 282 | სიგმა-სინოტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 318 | დანდი-ლივინგსტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 319 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 320 | დანდი-კილმარნოკი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 321 | ლივინგსტონი-პართსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 322 | მოხერუელი-აბერდინი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 323 | დანფერმლაინი-პარტიკი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 19.00 | 324 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| | | **ავსტრია. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 356 | ბრეგენცი-შტურმი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 18.30 | 357 | გრაცერი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 358 | პაშინგი-ადმირა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 359 | პაშინგი-ადმირა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 360 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 361 | რაპიდი-აუსტრია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **გერმანია. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 378 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ინგლისი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 21.15 | 379 | არსენალი-ჩელსი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 380 | შეფილდი-ლიდსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 17.30 | 381 | უოტფორდი-ბარნლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.00 | 382 | საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **ესპანეთი. თასი. 1/2 ფინალი II მატჩები.** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 383 | ოსასუნა-უელვა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 00.30 | 384 | მალიორკა-დეპორტივო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 386 | სოშო-ლილი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 387 | გენიონი-მონაკო | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 24.00 | 388 | ნანტი-მეცი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **პორტუგალია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 389 | სეტუბალი-კოვილია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 390 | პორტუ-ვარზიმი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 19.00 | 391 | სპორტინგი-ნავალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 19.00 | 392 | ლეირია-აკადემიკა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2.1 |
| | | **ჰოლანდია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 395 | პსვ-ჰერენვენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.15 | 396 | აიაქსი-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 397 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ბელგია. თასი. 1/2 ფინალი I მატჩები.** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 399 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი II მატჩები.** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 400 | ეგალეო-პანათინაიკოსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 21.30 | 401 | აეკ-პანიონიოსი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | | **თურქეთი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 403 | რიზე-ქოჯაელი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 404 | ტრაბზონი-ანკარა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.00 | 405 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **შოტლანდია. თასი. IV ეტაპი.** | | | | | | |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 406 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **1/8 ფინალი II მატჩი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 409 | ვისლა-ლაციო | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **ლიბერტადორესის თასი.** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 01.05 | 412 | ფენიქსი-კრუს ასული | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1.49 |
| 04.10 | 413 | ბოკა ხუნიორსი-ბარსელონა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3.04 |
| 06.30 | 414 | ალიანსა-კობრელოა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 02.05 | 415 | პაისანდუ-სერო პორტენიო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 03.10 | 416 | კოლო კოლო-ინდეპენდიენტე მედელინი | 1,9 | | 3,2 | 3.8 | 1,19 | 1,26 |
| 1,73 | | | | | | | | |
| 05.20 | 417 | ორიენტე-ნასიონალი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

08.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXIV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
08.03 21.00 2602 იტალია "A" (XXIV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
08.03 22.00 2603 ესპანეთი Iლ. (XXV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
08.03 20.15 2604 საფრანგეთი Iლ.(XXX ტური) 22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
07.03 23.00 2605 ჰოლანდია Iლ. (XXIII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
07.03 23.30 2606 ბელგია Iლ. (XXV ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9
07.03 22.00 2607 თურქეთი (XXIII ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 24.00 | 2102 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18:00 | 2103 | ვისლა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“, ყოფილი „დელისი“);

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

**შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | |
| 18.00 | 2701 | ვისლა-ლაციო | 1.5 | 2.1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1.54 | 1.21 |
| 24.00 | 2002 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,65 | 2.6 | 6.5 | 1 | 1.31 | 1,85 |
| 18:00 | 2003 | ვისლა-ლაციო | 3,4 | 2.1 | 2,8 | 1,29 | 1.53 | 1.19 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

5 მარტი

23.45 2401 მიდლსბრო-ნიუკასლი ---------- 2,0 ---------- 1,8
24.00 2402 მანჩესტერი-ლიდსი ---------- 1,3 ---------- 3,4
18:00 2403 ვისლა-ლაციო ---------- 2,0 ---------- 1,8

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5 მარტი

23.45 2201 მიდლსბრო-ნიუკასლი ---------- 1,9 ---------- 1,7
24.00 2202 მანჩესტერი-ლიდსი ---------- 1,9 ---------- 1,7
18:00 2203 ვისლა-ლაციო ---------- 1,9 ---------- 1,7

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------- კი ---------- არა

5 მარტი

23.45 2301 მიდლსბრო-ნიუკასლი ---------- 1,65 ---------- 1,95
24.00 2302 მანჩესტერი-ლიდსი ---------- 1,75 ---------- 1,85
18:00 2303 ვისლა-ლაციო ---------- 1,6 ---------- 2,0

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **5 მარტი** | | | |
| 23.45 | 2501 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2502 | მანჩესტერი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18:00 | 2503 | ვისლა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონები და თასი აღება ჩემპიონთა თასი. 11 მარტი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 002 | მანჩესტერი | 4,0 |
| 001 | რეალი | 5,0 |
| 003 | მილანი | 5,0 |
| 004 | არსენალი | 6,0 |
| 006 | ბარსელონა | 7,0 |
| 007 | ინტერი | 7,0 |
| 005 | იუვენტუსი | 8,0 |
| 008 | ვალენსია | 8,0 |
| 009 | დეპორტივო | 15,0 |
| 011 | აიაქსი | 20,0 |
| 010 | დორტმუნდი | 30,0 |
| 014 | ნიუკასლი | 30,0 |
| 012 | რომა | 50,0 |
| 016 | ბაზელი | 250,0 |
| 015 | ლოკომოტივი | 999,0 |

**უეფას თასი. 5 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 022 | ლივერპული | 2,8 |
| 021 | ლაციო | 5,0 |
| 024 | პორტუ | 6,0 |
| 025 | სელტიკი | 6,0 |
| 026 | მალაგა | 8,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 9,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 12,0 |
| 034 | ბოავიშტა | 20,0 |
| 036 | ვისლა | 25,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა 5 მარტი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,25 |
| 052 | მანჩესტერი | 3,2 |
| 055 | ნიუკასლი | 10,0 |

**იტალია. სერია A 8 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 2,0 |
| 061 | მილანი | 2,6 |
| 062 | ინტერი | 2,6 |

**ესპანეთი. I დივიზიონი 8 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,25 |
| 073 | ვალენსია | 3,0 |
| 072 | სოსიედადი | 3,2 |
| 074 | დეპორტივო | 7,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი 8 მარტი 20.15**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,5 |
| 081 | მარსელი | 2,5 |
| 083 | მონაკო | 2,5 |
| 089 | ბორდო | 5,0 |
| 084 | ოსერი | 7,0 |
| 086 | ნიცა | 12,0 |
| 087 | ლანსი | 12,0 |
| 088 | ნანტი | 12,0 |
| 085 | პსჟ | 12,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი 8 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1,15 |
| 102 | აიაქსი | 3,6 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი 8 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,8 |
| 123 | პაოკ | 12,0 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი. 8 მარტი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,5 |
| 192 | სლავია | 2,0 |

**პოლონეთი. 7 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,25 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა 8 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 131 | გალათასარაი | 2,3 |
| 133 | ფენერბაჰჩე | 10,0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა 8 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,45 |
| 142 | სელტიკი | 2,2 |

**დანია. სუპერლიგა 16 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

**შვეიცარია. A ლიგა 8 მარტი (20.30)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,6 |
| 161 | ბაზელი | 1,7 |

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს. 11 მარტი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,2 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 30,0 |

**ჰოკეი. NHL სტენლის თასი 7 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 4,0 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 207 | ოტავა | 6,0 |
| 206 | კოლორადო | 7,0 |
| 208 | ვანკუვერი | 8,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 | ტორონტო | 12,0 |
| 204 | ბოსტონი | 15,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 | მინესოტა | 25,0 |
| 224 | აილენდერსი | 40,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 50,0 |
| 217 | მონრეალი | 50,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 213 | კაროლინა | 75,0 |
| 219 | პიტსბურგი | 75,0 |
| 220 | ჩიკაგო | 75,0 |
| 222 | რეინჯერსი | 75,0 |
| 216 | სან ხოსე | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 100,0 |
| 225 | ფინიქსი | 100,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 300,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი NBA. თასი 17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 7,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 9,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 20,0 |
| 238 | ბოსტონი | 20,0 |
| 241 | დეტროიტი | 20,0 |
| 242 | პორტლენდი | 20,0 |
| 244 | მინესოტა | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 245 | სიეტლი | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 249 | ატლანტა | 200,0 |
| 253 | კლიპერსი | 200,0 |
| 254 | მაიამი | 500,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |

**კალათბურთი ევროლიგა 5 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 261 | ბარსელონა | 2,3 |
| 262 | ბენეტონი | 2,5 |
| 264 | ცსკა | 3,5 |
| 263 | პანათინაიკოსი | 5,0 |
| 265 | ტაუ | 15,0 |
| 268 | ოლიმპიაკოსი | 15,0 |
| 269 | მაკაბი | 15,0 |
| 272 | ეფესი | 15,0 |
| 274 | სიენა | 15,0 |
| 273 | სკიპერი | 25,0 |
| 275 | ულქერი | 25,0 |
| 270 | ოლიმპია | 30,0 |
| 271 | უნიკახა | 30,0 |
| 266 | კინდერი | 50,0 |
| 276 | ციბონა | 99,0 |
| 277 | ვილერბანი | 99,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO BOOKMAKERS

კროკო


*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილერიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ქავთარაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავთარაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ქავთარაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| ზუგდიდი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |



შეიძლება გახსოვდეთ – თბილისის „დინამო" „ჩელენჯ ქაფზე" აზერბაიჯანულ ნტდ-ს ხვდებოდა და ხმები დაირხა, ამ გუნდს რიმას კურტინაიტისი წვრთნისო. სახელგანთქმული ლიტველი მართლაც თავკაცობს აზერბაიჯანულ კლუბს, მაგრამ არა ნტდ-ს, არამედ „გალას", სადაც ამას წინათ გადაბარგდა თბილისის „მაკაბის" გამთამაშებელი ნიკა ნოზაძე

# აზერბაიჯანში კალათბურთსაც ნავთობის სუნი უდის

## ნიკა ნოზაძე კურტინაიტისს თბილისში ჩამოიყვანს

*აზერბაიჯანული კალათბურთი რა ბედენაა, ყველას კარგად მოგვეხსენება, მაგრამ ჩვენი მეზობლები სერიოზულად მოჰკიდებიან ამ საქმეს, რაც კურტინაიტისის იქ ჩასვლიდანაც კარგად ჩანს. ლიტვის სპორტის ყოფილი მინისტრისა და ამ ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კალათბურთელი „გალასთან" ერთად აზერბაიჯანელთა ნაკრებსაც წვთრნის და აზერი მენავთობეებისა თუ სხვათა ფულებით იქ კალათბურთის აყვავებას აპირებს. ნოზაძის გარდა „გალას" კიდევ 6 ლეგიონერი ჰყავს, თუმცა შესაძლოა, მალე ქართველი აღარ ჩაითვალოს უცხოელად, რაკი მას უკვე შესთავაზეს აზერბაიჯანის მოქალაქეობა და ნაკრების მაისურსაც დაჰპირდნენ...*

*ამ თვის ბოლოს „გალა" თბილისში გვეწვევა და ჩვენს კლუბებს ამხანაგურად გაეჯიბრება, მანამდე კი აზერბაიჯანელთა სიამაყის ავანჩავანზე თავად ნიკა ნოზაძე გვესაუბრება...*

**— როგორ აღმოჩნდი აზერბაიჯანში?**

— „მაკაბიში" იშვიათად მათამაშებდნენ, შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალება არ მეძლეოდა და გადავწყვიტე აზერბაიჯანში წავსულიყავი, ასე ვთქვათ, ბედის საძებნელად. ვიცოდი, იქ რიმას კურტინაიტისი მუშაობდა, რომელსაც ბაქოურ „გალაში" არაერთი უცხოელი მიეწვია და სერიოზული კლუბის ჩამოყალიბებას აპირებდა.

**— როგორ, შუამავლის გარეშე ჩახვედი ბაქოში?**

— კი, ავდექი და პირდაპირ კლუბში მივედი, ქართველი კალათბურთელი ვარ და თქვენთან თამაში მსურსმეთქი. კურტინაიტისმა გამსინჯა, კმაყოფილი დარჩა და გუნდში ამიყვანა.

**— გავიგეთ, უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშე და „გალას" ძირითად შემადგენლობაშიც დამკვიდრდი.**

— ახალმისული პირდაპირ ლიტვაში წამიყვანეს, სადაც ქალაქ პანივეჟისის ოთხთა ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. „გალასთან" ერთად ამ ტურნირში „ქალგირისი", ერთი ლატვიისა და ერთიც ესტონეთის გუნდი თამაშობდა. სწორედ ამ მატჩებში ვიყოჩაღე და ჩემს პოზიციაზე მოთამაშე ამერიკელი ზანგი გამთამაშებლის ადგილი დავიკავე.

**— რა დონის გუნდია „გალა", კურტინაიტისმა თუ დაატყო ხელი?**

— „გალა" აზერბაიჯანის, ფაქტობრივად კი ბაქოს ჩემპიონატის ლიდერია და ჩემპიონიც უპრობლემოდ გახდება. კურტინაიტისის გუნდი ყველას ათი თავით სჯობს, 2 ბელარუსი, 2 ნიგერიელი, თითო ლატვიელი და მოლდოველი ლეგიონერი ჰყავს. „გალას" მიზანი ევროტურნირებში მონაწილეობაა.

**— ძლიერი გუნდის შექმნას დიდი ფული სჭირდება. „გალას" ვინ პატრონობს?**

— როგორც კალათბურთელებს გვეუბნებიან, „გალას" კომპანია „პეპსი" აფინანსებს. ისე კი, ამ კლუბს ფულიანი ხალხი მფარველობს. არ ვიცი, ამბობენ, მენავთობეებიო, მაღალჩინოსნებზეც ლაპარაკობენ. მარტო ის რად ღირს, კურტინაიტისი რომ დათანხმდა აზერბაიჯანში ჩასვლას, მას ბაქოში იდეალური პირობები შეუქმნეს, ფულზე არცაა ლაპარაკი.

**— კონტრაქტი გააფორმე?**

— წელიწადნახევრიანი. ის კი არა, აზერბაიჯანის მოქალაქეობაც შემომთავაზეს. კურტინაიტისმა მითხრა, ნაკრებშიც გამოგცდიო. ჯერ არ ვჩქარობ, არ მინდა, ნაუცბათევი გადაწყვეტილება მივიღო.

**— კურტინაიტისს განსაკუთრებული სავარჯიშო პროგრამა ექნება...**

— რა თქმა უნდა, ასეთი ვარჯიშები საქართველოში არც მინახავს. კურტინაიტისი რომელიღაც ამერიკული პროგრამით მუშაობს, არაფერს გვაცლის.

**— შენ თუ შემოგთავაზეს აზერბაიჯანის მოქალაქეობა, გამორიცხული არაა, სხვა უცხოელებსაც ასე მოექცნენ და მათი ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალად იქცეს...**

— სწორედ ამას აპირებენ. აზერბაიჯანის ნაკრებში შესაძლოა, რამდენიმე უცხოელი გამოჩნდეს, კურტინაიტისი ხომ ამისთვისაც სჭირდებათ.

**— „გალას" უახლოესი გეგმები როგორია?**

— ახლა ხომ კარგ პირობებში ვართ, სექტემბრიდან კი კლუბის დაფინანსება ერთიორად გაიზრდება, ევროპაში „გალა" თავისი სიტყვის თქმას აპირებს. ახლა აზერბაიჯანის ჩემპიონატი მიმდინარეობს, ამ თვის ბოლოს შესვენებაა და თბილისში ვაპირებთ ჩამოსვლას.

**— ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია?**

— ხელმძღვანელობა თანახმაა. ჩემი პირადი საქმეების მოსაგვარებლად თბილისში რომ მოვდიოდი, კურტინაიტისმა დამავალა, აქაურ კლუბებს ამხანაგური მატჩების თაობაზე მოველაპარაკებოდი. „დინამო", „სტუ-ჯეოსელი" და „მაკაბი" მზად არიან „გალასთან" სათამაშოდ. ფედერაციის ხელმძღვანელობაც დაგვპირდა, ვერის ბაღის დარბაზს დაგითმობთო. ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია, თბილისში ალბათ 24 მარტს უკვე „გალასთან" ერთად დავბრუნდები.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

4 მარტი. რუსთავი

### აზოტი 98:84 აკადემია

29:22, 25:16, 22:25, 22:21

**აზოტი:** ტყეშელაშვილი (4), ბერუაშვილი (9), ძლენტი (14), ჩაჩუა (4), ჯაფარიძე (45), გოგობერიშვილი (22), კოკოლიშვილი

**აკადემია:** ბექაური (2), გამყრელიძე (4), ლეჟავა (14), საყვარელიძე (10), გვიმრაძე (5), სანიკიძე (36), ჩხატარაშვილი (13)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია; **კომისარი:** როლანდ ხომერიკი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბევრს ჩააგდებ, გვიან დაბერდები

4 მარტი

**კლიპერსი 108:111 ნიუ ორლეანი**

**კლიპერსი:** მეჯიტი (24), რიჩარდსონი (22), მილერი (21)

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (35 ქულა, 10 პასი), ვესლი (23)

**საკრამენტო 107:99 ფილადელფია**

**საკრამენტო:** ვებერი (29 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ჯექსონი (18), დივაცი (17 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

**ფილადელფია:** აივერსონი (35), ვან ჰორნი (17)

**მემფისი 110:111 ბოსტონი**

**მემფისი:** გასოლი (23 ქულა, 17 მოხსნა), ბეტიე (21), პერსონი (18)

**ბოსტონი:** პირსი (31), ბრემერი (23)

**ჩიკაგო 89:104 ორლანდო**

**ჩიკაგო:** როუზი (24)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (26 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა), გირიჩეკი (18)

ახალი ცოცხი კარგად გვის — „კლიპერსის" ახალმა მწვრთნელმა დენის ჯონსონმაც შეკრიბა თავისი მოსუქებული და გაზანტებული სამწყსო და მკაცრი ლექცია ჩაუტარა, გადასარევი ბიჭები ხართ, მაგრამ მოედანზე უგულო გარჯას არავის გაპატიებთო. ერთი სიტყვით, შეეცადა, თავისი მოვალეობის დამიწყებელი ჯერაც ნედლი ვარსკვლავების თვებიდან სიზარმაცე გამოეგავა.

„კლიპერსმა" მაინც წააგო, რითაც ჯონსონი, ცხადია, აღფრთოვანებული ვერ დარჩებოდა, მაგრამ არც ძალიან უკმაყოფილება გამოუმჟღავნებია, რაკი ბიჭებმა მოინდომეს და იბრძოლეს. ახალ მწვრთნელს არც ის დაუჩივლია, ძირითადი ხუთეულის სამი წევრი მაკლდაო. მუხლის ოპერაციის გადამტან ცენტს მაიკლ ოლოვოკანდისთან ერთად გუნდმა წვრილმან ტრავმათა გამო ელტონ ბრენდი და ლამარ ოდომი მოისაკლისა. „კლიპერსი" უამათოდაც ეჭიდავა ჯანიან „ნიუ ორლეანს" და სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე. განახლებული სულისკვეთების გუნდში შეიმჩნეოდა ლოსანჯელესელთა გამთამაშებლის ანდრე მილერის გამოცოცხლება. ეს ცქვიტი ჯეელი „კლიპერსის" საამსეზონო ჩავარდნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჩაითვლება. მისი მოვალეობა გუნდის ათამაშებაა, ამისთვის გადმოიყვანეს „კლივლენდიდან", მაგრამ მის ხელში გუნდი უფრო აიშალა. ახლა მილერი ბევრს ცდილობდა, პასს პასზე აცხობდა და სულ 9 შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა. ამასთან ის თავადაც მადიანად უტევდა და 21 ქულა მიაშველა „კლიპერსს".

თუმცა მილერს ყველაფერი იდეალურად არ გაუკეთებია, ისეთ მომენტში მოეცარა ხელი, მისიანებს ყველაზე მეტად რომ სჭირდებოდათ. ბოლო წამზე უკვე 111:108 ანგარიშზე „კლიპერსის" გამთამაშებელმა თავად ითავა მატჩის გადარჩენა და პოტენციური გამათანაბრებელი სამქულიანი თვითონ ესროლა. ბურთი არ ჩავარდა და დენის ჯონსონს ხელიდან გაუსხლტა წარმატებული დებიუტი, თუმცა ამის გამო მწვრთნელს არც უფიქრია მილერის გაკიცხვა. რაც მთავარია, მან ჯიგრით ითამაშა და ტრაგედია არაა, თუ ახლა აცილა, სხვა დროს ჩააგდებსო.

მოყოჩაღებულ „ფილადელფიას" შინ სძლია „საკრამენტო კინგზმა". „მეფეებს" სულაც არ აღელვებდათ მეტოქის კარგი ფორმა და ბოლო 9 თამაშში მისი დაუმარცხებლობა, ჩვენ ყველანი სრულ ჯანზე ვიყოთ და ფილადელფიისთანას ცხრას ზედიზედ მოვუგებთო. სრულ ჯანზე კი ისინი, როგორც წესი, არასდროს არიან. მუხთალი ტრავმა უდროოდ ხან ვის გამოაკლებს და ხან ვის. ახლა „კინგზი" შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. მთავარია, კრის ვებერი და ბობი ჯექსონი მომჯობინდნენ, თორემ ჰიდაიეთ თურქოღლუს არყოფნას გუნდი როგორმე გადაიტანს და გადაიტანა კიდეც. მოზვერა ვებერს არ უფრენია და არც ფარები ულეწია, ახლადმორჩენილი კოჭის გამიზეზებას უფრთხის, მაგრამ სულისშემძვრელ ხტომების და კალათის ჩამოხევების გარეშეც მოაგროვა 29 ქულა და კიდევ სამმაგი ლუბლისთვის თითქმის საკმარისი მოხსნა-პასი.

„ერთხელ ვიღაცამ მითხრა, ზუსტად არ მახსოვს ვინ, კაცი იმდენი წლისაა, რამდენისადაც თავს გრძნობო. ძალიანაც კარგი, თავს 25 წლისად ვგრძნობ — ხალისობდა ვებერი, რომელიც, აუცილებლობამ მოიტანა და ვახსენოთ, 30 წლისა სწორედ ამ შაბათს შესრულდა — ფეხი რომ საბოლოოდ მომირჩება, მაშინ, მგონი, გაფურჩქნული სიჭაბუკის ხანაში შევალ."

ვებერი კანტიკუნტად მეტოქის შტაბშიც შეაქეს. ალენ აივერსონმა ის მსოფლიოში ულონიერეს კაცად მოიხსენია, „ფილადელფიის" მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა კი დარბაისულად დაიჩივლა. ეს თამაში ჩვენი იყო და მაგ ცალფეხა კაცმა წაგვართვაო.

გამარჯვებული მეტოქის ქება იმ დღეს მემფისშიც გაისმა. დამარცხებული მასპინძლები ალალად აქებდნენ გამარჯვებული „ბოსტონის" ახლადმომჯობინებულ ლიდერ პოლ პირსს. პირსს სერიოზულად არ უჭირს, ზურგში სპაზ-



მოულოდნელი ალენ აივერსონიც მოიქანცა

მებმა დაუარა და მანაც ორი თამაშით დაისვენა, ახლა კი გამობრუნდა და „მემფისს" 31 ქულა ჩაუგდო, თან წარამარა წელზე იკიდებდა ხელს, მტკივაო. ჰუბი ბრაუნი, მემფისის ბებერი თავკაცი — „პოლმა დიდძალი სამუშაო შეასრულა. ის დიდი მოთამაშეა."

დღის მეოთხე თამაშში „ჩიკაგომ" შინაურ „იუნაიტედ სენთერში" ყურებზე ხახვი ვერ დააჭრა „ორლანდოს". მასპინძლები დიდ გეგმებს აწყობდნენ ორლანდოელი სუპერის ტრეისი მაკგრეიდის გასაჩერებლად, შემდეგ კი მთელი თამაშის განმავლობაში ორ-ორი დამცველით დასდევდნენ მას. ამ ჩანაფიქრიდან ის გამოვიდა, რომ მაკგრეიდიმ თავის საშუალო შედეგიანობაზე 5 ქულით ნაკლები, 26 ქულა გააკეთა, სამაგიეროდ კი სხვებს ჩააყრევინა და კარიერაში სარეკორდოდ ბევრი 13 პასი შეაგროვა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# დენის ჯონსონი კლიპერსის გამოცოცხლებას აპირებს



გაგდებული ელვინ ჯენთრი

„ლოს ანჯელის კლიპერსმა" მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა. კლუბის საქმეთა გამრიგემ ლეგენდარულმა ელჯინ ბეილორმა დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ დაითხოვა ელვინ ჯენთრი და მის ადგილზე მისივე ასისტენტებიდან ყველაზე გამორჩეული დენის ჯონსონი დასვა.

ეს სეზონი ჯენთრისთვის „კლიპერსში" მესამე იყო. მას ეს გუნდი 222-ჯერ გაუყვანია მოედანზე და იქიდან მხოლოდ 89-ჯერ გამოუყვანია გამარჯვებული. წლეულს „კლიპერსი" მის ხელში სულ დაჩიავდა. 19 გამარჯვება 39 მარცხის წილ სულაც არაა ის შედეგი, რასაც მისგან ითხოვდნენ და რის მიღწევასაც ჯენთრი ირწმუნებოდა. წესით, ახალგაზრდა ვარსკვლავებით გადატვირთული „კლიპერსს" გამარჯვებები, ასე, მარცხების თანაბრად უნდა ეგროვებინა და მეპლეიოფეებს გამსვლელებში, სადღაც მე-6-მე-9 ადგილებს შორის უნდა ეტრიალა. „კლიპერსი" კი მე-12 და პლეი ოფს მოწყვეტილია, რაც ამბიციური მოთამაშეებთან ჯენთრის ლოიალურ და შემწყნარებლურ ურთიერთობას ბრალდება.

ჯენთრის შემცვლელი დენის ჯონსონი კი სწორედ რომ თავისი წინამორბედის საპირისპირო ხასიათის კაცია, 70-იან და 80-იან წლებში 14 სეზონის განმავლობაში მოვარსკვლავე და ამ ხანში სამჯერ გაჩემპიონებულმა ჯონსონმა შეუპოვარი და მებრძოლი მიბურთალის სახელი დაიგდო. ჯონსონმა 1979 წელს „სიეტლი" გაჩემპიონა, 1984 და 86 წლებში კი ლეგენდარულ „ბოსტონში" ლარი ბერდის და სხვა დარჩეული ბიჭების გვერდით იჩემპიონა.



ახალი ცოცხი: დენის ჯონსონი

ჯონსონს არა აქვს ნბა-ს გუნდი მთავარ მწვრთნელად მუშაობის სტაჟი. სამაგიეროდ, სურს, „კლიპერსის" გაზულუქებული ვარსკვლავები ერთი მაგრად შეაფუცხუნოს.

**კოტე ყორშია**

**FRANKLIN TEMPLETON TENNIS CLASSIC**

სკოტსდეილი. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ანდრე აგასი (2, აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 6:1; **სისილ მამიტი** (აშშ) — ქსავიე მალისი (8, ბელგია) 7:6 (7:5), 7:6 (7:3); **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ჯეი გუდინგი (ავსტრალია) 6:2, 6:2; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:2; **ტეილორ დენტი** (აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3, 7:5; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 3:6, 6:3, 6:4



ანდრე აგასი



ტომას ენკვისტი

# აგასიმ წააგო, ლაბაძემ მოიგო ანდრე ცოლთანაც აგებს

სკოტსდეილურ კორტებს იმ კვირაში ნაპაექრებ ქალთა სურნელი ხეირიანად ჯერაც არ გამონელებოდათ, საქმეში ხვადი მეჩოგნეები რომ ჩაერთვნენ.

ჩაერთვნენ და კარიერის განმავლობაში 19 ტიტულისა და სადღაც 10 მილიონი დოლარის მომგებმა ტომას ენკვისტმა უმალ უზორბესი სენსაცია გაახურხა — ტურნირიდან მისი მთავარფავორიტი, ოთხგზის (1993, 1994, 1998, 2002) ჩემპიონი ანდრე აგასი აოტა.

აგასი წლევანდელი მეავსტრალიეა, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ სან ხოსეშიც გაიმარჯვა და საერთოდაც — წლეულს ნათამაშები 12 შეხვედრიდან 12-ვე მოიგო. ასეთი შთამბეჭდავი სეზონსტარტი რვაგზის მესლემტიტულე ამერიკელს 1995 წლის შემდეგ აღარ ჰქონია. მაშინ მან სეზონი 15 გამარჯვებით დაიწყო და მხოლოდ ფილადელფიაში — რა უცნაურია და — სწორედ ტომას ენკვისტისგან იძლია.

მოკლედ, 28 წლის ბრგე შვედს აწი იმითაც შეუძლია იამაყოს, რომ ანდრე აგასისთვის ორი საუცხოო ალესეზონი წაუხდენია.

ასეთი დიდი გამარჯვება კი მან ბოლოჯერ სამი წლის წინ, ინდიანუელსურ მეოთხედფინალში მოიხვეჭა, როცა მაშინ კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე მდგომ პიტ სამპრასს აჯობა.

სათქმელია ისიც, რომ ენკვისტი აგასის ერთი ყველაზე უხერხული მეტოქეა და ნაიმატჩევს მათ საკარიერო დაპირისპირებაში შვედი უკვე 5:4-ით დაწინაურდა.

ჰოდა, ვილას აინტერესებს ის ამბავი, რომ ეს მისი მხოლოდ მეორე საამსეზონო გამარჯვება იყო?

ხოლო კითხვაზე, თუ რატომ იყო ეს მისი მხოლოდ მეორე საამსეზონო მოგება, დაინტერესებულ მკითხველთ შევახსენებთ, რომ შარშან მან მარჯვენა მხარი დაიშავა და აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ერთი მატჩიც აღარ გაუმართავს.

ახლა მას რეიტინგსიის 73-ე ხარიხა უკავია და იმედოვნებს, რომ თავისი მძლავრი მოწოდებით ის კვლავაც შეძლებს ზენა სფეროებთან შეღლაბუცებას. ჯადო ანდრე მან იმ დღეს სწორედ გლაჯუნა მოწოდებებით დათრგუნა, რომელთაგან 18 მეტოქეს ეისურად ჩაუწუილა...

აგასი: „ტომასი დიდი მეჩოგნეა. როცა მწყობრშია, მისი ძლევა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. დღეს დაყნოსილმა ითამაშა — ყოველ სეტში ადრევე გამტეხა და, რაკი გეში იკრა, ლაგამი აღარ მოუბოშებია, ბოლომდე გამწნეხა... მე კი ჩემი შანსები ვერ გამოვიყენე. ისე — ამ წაგებამ გამახსენა, თუ როგორ ვერ ვიტან დამარცხებას. ამ მარცხის ერთადერთი დადებითი მხარე ეგებ ეგ იყოს".

სხვაფრივ — სკოტსდეილურ პუბლიკას ბოლო ორი კვირაა, ბედი არ სწყალობს. ჯერ იყო და, ქალთა ტურნირი წვიმიანობამ და ლიდერთა ბითუმად ოტებამ ჩაუშხამა (ლიდერებს მუხლმტკივანი სერენა უილიამსი ყოჩობდა), ხოლო ამ ჯერზე მსოფლიოს ამჟამინდელი მწვერვალოსნების — ლეიტონ ჰიუიტისა და ანდრე აგასის სავარაუდო შეხლის პერსპექტივაც გაუცუდდა.

ჰიუიტი ტურნირის 2000 წლის გამარჯვებული, 1999 წლის ფინალისტი და 2001 წლის ნახევარფინალისტია. იქ ნათამაშები 14 მატჩიდან კი მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა. ამიტომ ვიეთნი ჰგონებენ, რომ უაგასობაში მას იქ მეორედ გაჩემპიონება არ უნდა გაუჭირდეს.

და კიდევ — ენკვისტთან წაგების შემდეგ აგასიმ გაამხილა, რომ მეუღლე, 22-გზის მესლემტიტულე შტეფი გრაფი ეგრეც ვერ დაიყოლია როლან გაროსულ სეფეთიხნარზე საწყვილაოდ. „მე ყველანაირად ვცდილობ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი გამომდის" — თქვა მან.

**INTERNATIONAL TENNIS CHAMPIONSHIPS**

დელრეი ბიჩი. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — რაემონ სლოიტერი (6, ჰოლანდია) 7:6 (8:6), 7:5; **მარსელო რიოსი** (3, ჩილე) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3, 6:3; **ჟან-მიშელ გემბილი** (4, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:4; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — ალექს კიმი (აშშ) 6:4, 6:4; **ლი ჰიუნგ-ტაიკი** (სამხრეთ კორეა) — ანდრე სა (ბრაზილია) 7:5, 6:2; **ჟან-რენე ლინარი** (საფრანგეთი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:2, 4:6, 6:2; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:4, 6:0

წარუმატებელი დუბაური მოგზაურობის შემდეგ ირაკლი ლაბაძე ისევ ამერიკას დაუბრუნდა და ახლა ფლორიდაში, დელრეი ბიჩის ტურნირზე გამოდის. პირველ წრეში ის მეექვსე ნომრად განთესილ რაემონ სლოიტერს შეხვდა და ორსეტიან დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. ეს მათი მესამე შეხვედრა იყო და 24 წლის ჰოლანდიელს ლაბაძე უკვე 2:1 უგებს.

**ლევან ძელაურაძე**

*„დეტროიტ რედ უინგზის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა სერგეი ფიოდოროვმა აღიარა, რომ ის და რუსი სექსმეჩოგნე ანა კურნიკოვა რაღაც დროის განმავლობაში დაქორწინებულნი იყვნენ, ახლა კი გაყრილები არიან და ერთმანეთს საერთოდ აღარ ელაპარაკებიან. ამის შესახებ 33 წლის რუსი მეყვანჯე „ჰოკი ნიუსის" კორესპონდენტს გაესაუბრა*

# კურნიკოვას კორტი ლოგინია

## ფიოდოროვმა ახლაც არ იცის, ვის ეთამაშებოდა სექსბურთს მისი ცოლი



ფოტო ცხოვრების არქივიდან: ანა და სერგეი. ისინი მაშინ ერთად იყვნენ

„ეს სიმართლეა — ასე უპასუხა ფიოდოროვმა კითხვას, რომელიც მათი ქორწინების თაობაზე გავრცელებულ ჭორებს შეეხებოდა — თუმცა ძალიან მცირე ხნით, მაგრამ დაქორწინებულები ჩვენ ნამდვილად ვიყავით."

ფიოდოროვისა და კურნიკოვას ცხოველი ურთიერთობების შესახებ მილეთში უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ. ამაზე ჭორაობა და ლადავი თითქმის მაშინვე დაიწყო, როცა ჯერაც ნინველა ანამ საჩოგბურთო სამყარო თავის ლოლიტურ სექსბლონდებში გაახვია. 1997 წელს ის დეტროიტში, სტენლის თასზე ნახეირალი „რედ უინგზის" საპატივცემლოდ მოწყობილ ალეუმზე უკვე ფიოდოროვთან ერთად გამოჩნდა.

ორი წლის მერე უიმბლდონზე მოჩოგნავე სექსანას ხელზე ბრილიანტის ბეჭედი დაულანდეს. მისი და მილიონერი ჰოკეისტის ნიშნობის შესახებ სწორედ მაშინ აყაყანდნენ. მათ ქორწინებაზე კი პირველად ფიოდოროვის დედას წამოსცდა -- 2001 წელს ის ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ მისმა ვაჟმა და სექსანამ ხელი მოსკოვის ერთ-ერთ მმაჩში მოაწერეს.

21 წლის კურნიკოვას ბოლო წლების განმავლობაში სხვა სახელოვან ხვადებთანაც აკავშირებდნენ ან — უფრო სწორად — ამ ხვადებს ის თავად უკავშირდებოდა. ამათ შორის იყვნენ „ნიუ იორკ რეინჯერსის" ყვანჯმეგოლე პაველ ბურე და ესპანელი ბულბული ენრიკე იგლესიასი.

ინფორმაციები სასიყვარულო რუსული სამკუთხედის შესახებ ატლანტის ორივე მხარეზე შეუცილებელი საპირველგვერდო პატივით სარგებლობდა. ანას ორივე რუსი მეყვანჯე ჩემულობდა და, როგორც აშკარავდება, სიტუაციაში ბოლომდე მარტო მკითხველები კი არა, თავად სამკუთხედის წევრებიც ვერ ერკვეოდნენ.

ასე, მაგალითად — ფიოდოროვის თქმით, მას რამდენჯერმე უკითხავს კურნიკოვასთვის ბურეს შესახებ და მას ურთიერთობათა გაწყვეტითაც დამუქრებია, მაგრამ ქერათმიანი ალი ნიადაგ ახერხებდა თავის ერთგულებაში მის დარწმუნებას.

„დღემდე არ ვიცი, რა ხდებოდა მაშინ მათ შორის და საერთოდ, ხდებოდა თუ არა რამე — ამბობს ფიოდოროვი — მათ ურთიერთობებზე მეც მხოლოდ გაზეთებიდან ვიგებდი და უნდა გითხრათ, რამდენჯერმე მასთან განშორებაც დავაპირე. მაგრამ ის ახერხებდა ახსნას და მეც მჯეროდა მისი ნათქვამი, ან — ეგებ ვიჯერებდი, რაკილა მინდოდა, პრობლემა როგორღაც თავისთავად ჩაფარცხულიყო."

ახლახან ფიოდოროვმა გააუქმა კონტრაქტი სარეკლამო სააგენტო „ოქტაგონთან", რომელიც სხვა გამოჩენილ ათლეტებთან ერთად კურნიკოვასაც ემსახურება. აქა-იქ უკვე ითქვა, რომ ფიოდოროვი „ოქტაგონს" სააგენტოს მიერ კურნიკოვასა და იგლესიასის ურთიერთწარდგენის, ანუ სლენგურად — „დაჯახების" გამო დაეუბრა.

თუმცა „ჰოკი ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფიოდოროვმა თქვა, რომ კურნიკოვასთან გაყრას არ განუპირობებია მის მიერ „ოქტაგონის" მიტოვება.



ანა კურნიკოვა ხომ დიდი ხანია, ლოგინის ვარსკვლავია

„მინდოდა, პიროვნულ თუ პროფესიულ სარბიელზე ყველაფერი თავიდან დამეწყო — თქვა მან — სააგენტოს მუშაობით უბრალოდ უკმაყოფილო ვიყავი. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ მათ ჩემი ინტერესები ფეხებზე ეკიდათ"...

სხვაფრივ — ფიოდოროვი ფიქრობს, რომ მისი და კურნიკოვას ურთიერთობისადმი მასმედიის მიერ ასე არანორმალურად დიდი ყურადღების დათმობა მათ შორის ასაკობრივმა სხვაობამ გამოიწვია.

„ასაკობრივი სხვაობისავე და კიდევ იმის გამოც, რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთად ყოფნა არ გვიწევდა, ჩვენს სიყვარულს „კლასიკურ ტრფობას" ვერ უწოდებდით — იგონებს იგი — შეყვარებულობანა და ისეთი რამეები, რაც სიყმაწვილეში გემართება, ჩვენ არა გვქონია, რადგანაც მე გაცილებით უფროსი ვიყავი".

„მაგრამ მედია არაფერს დაგიდევდათ... ზოგს არ უნდა გაიგოს, რომ მშობლები გყავს, ირგვლივ უამრავი ახლობელი გახვევია და რომ შენზე ნათქვამმა თითოეულმა ზედმეტმა სიტყვამ მათ შეიძლება გული ატკინოს... მაშინ ყველაზე მეტად თანაგუნდელები მეხმარებოდნენ. მათ იცოდნენ, რომ პრობლემები გვქონდა, მაგრამ რეალურად, ზუსტად არავინ არაფერი იცოდა — ჩვენი ურთიერთობის შესახებ ჩვენ არავისთან ვლაპარაკობდით".

მაგრამ ეს ყველაფერი ადრე იყო. ახლა კი სერგეი და ანა ცალ-ცალკე არიან და თუკი პირველს ხმაში ერთგვარი ნაღველი მაინც გამოუკრთის, მეორე დროს უქმად არ ჰკარგავს და წარსულზე მეტად მომავალში იცქირება.

სექსანამ იგლესიასთან განშორებაც იოლად გადაიტანა (ეგებ გახსოვთ, ესპანელმა მომღერალმა მორიგ საავხორცო ობიექტად კაილი მინოუგის ბარაქიანი და, დანი შეირჩია) — და ახლა ლამის ყოველ მეორესთან არშიყობს.

ამას წინათ ის მაიამიში ფილიპ კირკოროვის კონცერტზე მავან უსახელო ზანგთან ერთად გამოცხადებულა და მძლავრი ფუროორიც მოუხდენია, ნაამზანგევს კი სექსანა ცნობილ ბრაზილიელ მეინდიკარეს, ჰელიუ კასტრონევეშს გადაეყარა.

მათი ურთიერთობა საჯაროდ მხოლოდ ერთად რბოლითა და საჩვენებელი ჩოგნაობით გამოიხატება, მაგრამ არც კასტრონევეში ჩანს ის კაცი, კურნიკოვასთან მხოლოდ ბურთაობასა და მძლოლოსნობას დასჯერდეს, და არც სექსანაა ის ქალი, ხელში მხოლოდ ჩოგნის ჭერა რომ უყვარს.

ერთი სიტყვით, კურნიკოვას წინ კიდევ დიდი მომავალი აქვს და ეს მომავალი გაცილებით აღემატება იმას, რაიც ბუნებამ ადამიანს სპორტსმენობისთვის შემოუფარგლა.

საკითხავი მხოლოდ ისაა, კაცის გატეხილ გულს რა გაამთელებს.

**იური ნეცაძე**

ევროპის ერთა თასი 2003. მესამე ტური

# რუსეთი — საქართველო

8 მარტი. კრასნოდარი. «დინამო». 15 საათი

*საქართველოს ნაკრებმა რუსებთან კარსმომდგარი ჯახისთვის მზადება დაიწყო. 23-კაციანი შემადგენლობა მცხეთაში დაბანაკდა. ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ნამგზავრი და გამოუძინებელი შეგირდები მსუბუქად დატვირთა, საღამოსკენ სატრენაჟორო დარბაზში წაასხა.*

# მსუბუქი ვარჯიში სიმძიმეებით

## რკინის ნიღაბმა საქართველოს ნაკრებს შეშარა

შარშან იმავე რუსეთთან ან რუმინეთთან შეჯახებამდე ბორჯღალოსნები ერთობ მკაცრი მეთვალყურეობით ემზადებოდნენ. წლეულს რეჟიმი შესამჩნევად შერბილებულია. სანამ სატრენაჟორო დარბაზში მივიდოდნენ, სორელმა მორაგბეები გაათავისუფლა და ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების მონახულების საშუალება მისცა. უწინ ასეთი რამ შეკრებისას არ ხდებოდა. ახლა, მორაგბეებს მნახველები არც დარბაზში დაჰკლებიათ. მათი ნორჩი ქომაგები საგანგებოდ მოვიდნენ ბორჯღალოსანთა ვარჯიშზე, რათა თავიანთი კერპები ახლოდან ენახათ. ზოგი სორელსაც დაუდარაჯდა ავტოგრაფის მისაღებად და ვარჯიშის ბოლოს აისრულა კიდეც საწადელი.

ვარჯიში მხიარული გამოდგა. ჩვენებს უხასიათობისა არაფერი ეტყობოდათ და დროდადრო განტვირთვისთვისაც იცლიდნენ. ჯერ სიმაღლეზე ხტომაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, ყველას ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგენიძემ აჯობა. მერე ის იყო, ვინ უფრო მეტ ხანს გააჩერებდა სიმძიმეს თავს ზემოთ. აქ ბორჯღოლოსანთა კუნთმაგარ მორკინალებს ჩია მალხაზ ურჯუკაშვილმა აჯობა და მეგობრების კომპლიმენტებიც დაიმსახურა. ბორჯღალოსნები განსაკუთრებით მაშინ გამხიარულდნენ, როცა დარბაზში ცხვირგატეხილმა ვასილ კაცაძემ შემოაბიჯა. მრავალთაგან ქართველ „ლომულ" წოდებულ კაცაძეს სახეზე თაბაშირის ნიღაბი ეკეთა და თავის ვეება სხეულს რინგისკენ მიმავალი მოკრივესავით მოარხევდა, ძალიან ჩამოჰგავდა ზანგურ უბანში გაზრდილ მოჩხუბარს, თანაგუნდელებმა იგი კარგად ნაცემ ტაისონს შეადარეს.

შორიახლო მდგარი სორელი შეგირდებს მშვიდად ადევნებდა თვალს და ვარჯიშის პროცესში არ ერეოდა. გუშინ „ზედამხედველის" ფუნქციებს ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილი ასრულებდა. სიტყვამ მოიტანა და, რუდილი ჩვენების ფიზიკური მზადყოფნით სავსებით კმაყოფილია.

სიმძიმეების აწევას მოერიდა ბესიკ ხამაშურიძე, რომელსაც მოტეხილი თითი კი გაუმრთელდა, მაგრამ გართულების თავიდან ასაცილებლად „მცირე დოზას" შეეჭიდა. დანარჩენები ყველანი ჯანზე არიან და კუნთებიც მაქსიმალური სიმძლავრით უმუშავებთ. განსაკუთრებით მევლუდ მთიულიშვილი გამოირჩა, რომელიც მალხაზ ურჯუკაშვილს უპირებდა „დაკუჭვას", რაკი მახომ „მძიმეწონოსან" მევლუდს შეჰკადრა, ბავშვურ წონას ეპარებიო. „კეთილი დევი" ვიქტორ დიდებულიძე კი თავის ჩალურჯებულ თვალს დარდობდა, საფრანგეთის ჩემპიონატში ვიქტორს მეტოქე სახეში თავით დაჯახებია და... ამ სიბერეში ეს რა მაკადრესო, ხუმრობდა ვიქტორი.

მონდომებით ივარჯიშა გრეგუარ იაშვილმა, რომელიც დაგვპირდა, თუ ვითამაშებ, ერთი ლელო ჩემზე იყოსო.

**საქართველოს ნაკრების სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა**

ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, ირაკლი გუნდიშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე (კაპ)



გრეგუარ იაშვილმა თავადაც გულმოდგინედ ივარჯიშა და სხვებიც ავარჯიშა



*გუშინ კლოდ სორელი მხიარულ გუნებაზე იყო. ვარჯიშის პროცესში მან ჩანდ ფიზმომზადების მწვრთნელ ტიერი რუდილის გადააბარა, თვითონ კი მოშორებით გაჩერდა. მერე მან მომლოდინე ქომაგისთვისაც მოიცალა და ავტოგრაფებიც ბლომად არიგა, მანამდე კი რაგბის კავშირის ოფისში შეკრების რამდენიმე დეტალი დააზუსტა. ბორჯღალოსანთა მწვრთნელსაც მაშინ შევხვდით და ეს მომცრო ინტერვიუც იქ შედგა.*

# სორელს ჯიგარს ტვინი ურჩევნია

## არაექსპერიმენტული გუნდი ექსპერიმენტული გუნდიშვილით

**— შარშან ისეთ პრინციპულ მეტოქეებთან მატჩის წინ, როგორებიც რუსეთი და რუმინეთი არიან, ნაკრებში მკაცრი რეჟიმი დააწესეთ, ახლა კი მორაგბეები მეტად არიან თავისუფლები...**

— ეს ასეც უნდა იყოს. დროა, მორაგბეებმა შეიგნონ, რომ ნებისმიერი ძალის მეტოქესთან სრული სერიოზულობით უნდა მოემზადონ. პატარა ბავშვები აღარ არიან, რომ კუდში დევნა დავუწყო და მათი ყოველი ნაბიჯი ვაკონტროლო. თანაც შარშან გაცილებით მეტი მოგვეთხოვებოდა, ვიდრე წლეულს. მომავალ მატჩს ისე ვუყურებ, როგორც მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპს. რა თქმა უნდა, კარგად მესმის ამ მატჩის მნიშვნელობაც. ისიც ვიცი, რას ნიშნავს ქართველებისთვის რუსებთან შერკინება. ასე რომ, ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ კრასნოდარში წასაგებად მივდივართ. მთავარია, ჩვენ, მწვრთნელებმა მორაგბეები ფსიქოლოგიურად განვაწყოთ მომავალი მატჩისთვის და მათი სრული მობილიზება შევძლოთ.

**— ცნობილი მოვლენების გამო რუსები ძალიან გამწარებულნი არიან. საქართველოს ნაკრებმა კი უკვე მოიპოვა მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება და თავს არხეინად გრძნობს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ფაქტორი რუსების შანსებს ზრდის?**

— რა თქმა უნდა, ასეც არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უმოტივაციოდ დავრჩით. ჩვენი მიზანია, რუსებს მოვუგოთ ტაქტიკით და ტექნიკით. წავიდა ის დრო, როცა რუსეთს ემოციების ხარჯზე ვამარცხებდით. იმის ცდაში ვარ, რომ საქართველოს ნაკრები შეძლებისდაგვარად დავამსგავსო მსოფლიო რაგბის ლიდერებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა გუნდმა მეტოქეს განსწავლულობით და ოსტატობით უნდა მოუგოს.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— რუსეთს შეუძლია ჩვენი დამარცხება. შარშან თბილისში ფრედ გვეთამაშა, მომდევნო მატჩში კი მძიმე ბრძოლაში წავართვით გამარჯვება. კრასნოდარშიც ბოლო წუთამდე ომი იყო. ასე რომ, შანსები თანაბარია, ორმოცდაათიორმოცდაათზე. თანაც ახლა შინ გვეთამაშებიან და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებენ.

**— თქვენ თქვით, რომ რუსებთან მატჩს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად გამოიყენებთ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტები გაგრძელდება?**

— არა, ამჯერად ოპტიმალურ შემადგენლობას დავაყენებ, ცხადია, იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იქნება მზად ამ მატჩისთვის.

**— ტრავმირებული ვასილ კაცაძის ნაცვლად მარჯვენა გარემარბად ალბათ მორკინალ გია ლაბაძეს ათამაშებთ, მით უმეტეს, მას უკვე აქვს უკანა ხაზში თამაშის გამოცდილება...**

— არა, აქ თქვენ პატარა სიურპრიზი გელით, რუსებთან მეთერთმეტე ნომერი ირაკლი გუნდიშვილი იქნება.

**— ცოტა თამამი გადაწყვეტილება ხომ არ არის...**

— აბა, როდის გავრისკო? არ დავივიწყოთ, რომ მსოფლიოს თასამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ჩვენი მიზანია, ახალი სახელები ვნახოთ საქმეში, ნაღდ ბრძოლაში, თანაც გუნდიშვილი უკვე მზადაა ძირითად შემადგენლობისთვის, მით უმეტეს, მისი თამაშის სტილი შეესაბამება გარემარბის ამპლუას, მერე რა, რომ უწინ მორკინალი იყო. ვფიქრობ, ამჯერად რისკი გამართლებულია.

**— რაც საქართველოში მუშაობთ, რუსებს სამჯერ მოუგეთ და ერთხელ ფრედ ეთამაშეთ. ხომ არ შიშობთ, რომ რუსები ახლა გატეხავენ ნავს?**

— რატომ უნდა გატყდეს ნავსი და რატომ ვერ უნდა მოვუგოთ რუსეთს მეოთხედ, მეხუთედ?! ეს პროცესი არ უნდა გაჩერდეს.

**ბაჩო სვანიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ვანკუვერის სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა

3 მარტი

**ბოსტონი 4:6 ვანკუვერი** *1:0 0:3 3:3*

**1:0 მიურეი (7), 1:1 ლანდენი (23), 1:2 კლეტი (27), 1:3 კუკი (35), 2:3 მიურეი (44), 3:3 ჟირარი (46), 3:4 კუკი (43), 3:5 ბერტუცი (50), 4:5 აქსელსონი (50), 4:6 გალიკი (60)**

ვანკუვერმა სტუმრად მოგებები ჩვეულებრივ ამბად აქცია. „კენაქსის" ყოჩაღობა, ცხადია მეტოქეებსაც აშფოთებთ, ცდილობენ, ზომები მიიღონ, მაგრამ კანადურ კლუბს ეს წარმატებული სერია ვერაფრით შეაწვეტინეს. აი, კალგარიმ 21-ე გასვლა მოიგო, რაც კლუბის ახალი რეკორდია. თან ამაში ძირითად ძალებს დიდი წვლილი არც შეუტანიათ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ მარკუს ნესლუნდისა და ტოდ ბერტუცის დუეტმა მხოლოდ ერთი გოლი გამოჭედა.

**კოლუმბუსი 2:3 დეტროიტი** *1:1 1:1 0:1*

**0:1 შენაჰანი (4), 1:1 უიტნი (11), 1:2 ჰალი (23), 2:2 კლუქლა (31), 2:3 შენაჰანი (50)**

პაველ დაციუკი მადაზე მივიდა. დეტროიტის ცენტრფორვარდმა წინა მატჩში 4 (2+2) ქულა მოაგროვა და თავის სამეულს ზუსტი პასებით ფრთები შეასხა. ამჯერად კი რუსმა მარტო მუდმივი პარტნიორი ბრეტ ჰალი კი არ ახეირა, სხვა სამეულის წევრ ბრენდან შენაჰანსაც დუბლი შეასრულებინა.

**რეინჯერსი 1:1 აილენდერსი** *0:0 0:1 1:0 0:0*

**0:1 სკაჩარდი 26), 1:1 ლიჩი (53)**

„მოსისხლე" მტერთან დერბიში ბრაიან ლიჩის ფანტასტიკურმა გოლმა მასპინძლებს მხოლოდ ფრე მოუტანა. „რეინჯერსის" მცველმა თავის კართან მიიღო შაიბა, მთელი მოედანი გადაიარა, გზად სამი მეტოქე მოატყუა და „აილენდერსის" მეკარე გარტ სნოუს შანსი არ დაუტოვა, მაგრამ „რეინჯერსი" ფრემ ვერ გაახარა.

თამაში ამჯერად მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდა. აი, წინა დუელში კი ჯერ კიდევ მატჩისწინა ვარჯიშზეატყდა ჩხუბი მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა რეინჯერსელმა განზრახ გადალახა მოედნის შუა ხაზი, რაც დაუშვებელია.

**ტორონტო 1:2 ფლორიდა** *0:1 0:0 1:1*

**0:1 ნოვოსელცევი (2), 0:2 უაისი (56), 1:2 მოგილნი (60)**

ტორონტოს ლიდერ მატს სუნდინს კვლავ მოეცარა ხელი. არადა, კიდევ ორიც და სუნდინი 1000-ქულიან ზღვარს უწევს.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 66 | 40 | 7 | 1 | 18 | 207:145 | 88 |
| ნიუ ჯერსი | 64 | 38 | 6 | 4 | 16 | 168:130 | 86 |
| ვაშინგტონი | 67 | 31 | 7 | 4 | 25 | 183:176 | 73 |
| ფილადელფია | 64 | 34 | 11 | 2 | 17 | 153:133 | 81 |
| ტორონტო | 66 | 37 | 4 | 1 | 24 | 194:165 | 79 |
| აილენდერსი | 65 | 30 | 9 | 2 | 24 | 177:177 | 71 |
| ტამპა | 65 | 28 | 10 | 5 | 22 | 176:175 | 71 |
| ბოსტონი | 65 | 28 | 8 | 3 | 26 | 190:188 | 67 |
| რეინჯერსი | 69 | 27 | 9 | 2 | 31 | 181:204 | 65 |
| მონრეალი | 66 | 24 | 8 | 7 | 27 | 166:193 | 63 |
| ფლორიდა | 66 | 20 | 12 | 9 | 25 | 154:193 | 61 |
| პიტსბურგი | 66 | 25 | 4 | 5 | 32 | 165:198 | 59 |
| ატლანტა | 64 | 22 | 5 | 4 | 33 | 169:228 | 53 |
| ბუფალო | 64 | 19 | 8 | 6 | 31 | 142:172 | 52 |
| კაროლინა | 66 | 18 | 9 | 6 | 33 | 135:189 | 51 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 66 | 36 | 15 | 20 | 13 | 199:134 | 89 |
| ვანკუვერი | 66 | 39 | 10 | 0 | 17 | 211:164 | 88 |
| დეტროიტი | 65 | 36 | 9 | 3 | 17 | 206:163 | 84 |
| კოლორადო | 65 | 32 | 11 | 7 | 15 | 193:159 | 82 |
| სენტ ლუისი | 65 | 33 | 8 | 6 | 18 | 204:167 | 80 |
| მინესოტა | 64 | 32 | 8 | 1 | 23 | 155:139 | 73 |
| ანაჰაიმი | 66 | 30 | 8 | 4 | 24 | 158:160 | 72 |
| ედმონტონი | 65 | 26 | 8 | 8 | 23 | 174:184 | 68 |
| ნეშვილი | 64 | 26 | 9 | 4 | 25 | 160:160 | 65 |
| ლოს ანჯელესი | 65 | 28 | 4 | 4 | 29 | 171:179 | 64 |
| ჩიკაგო | 66 | 24 | 10 | 5 | 27 | 156:165 | 63 |
| ფინიქსი | 64 | 25 | 8 | 4 | 27 | 162:173 | 62 |
| სან ხოსე | 64 | 24 | 6 | 5 | 29 | 175:187 | 59 |
| კოლუმბუსი | 65 | 23 | 7 | 2 | 33 | 168:207 | 55 |
| კალგარი | 65 | 20 | 10 | 4 | 31 | 144:189 | 54 |

შენიშვნა: კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 85(41+44), ლემიე (პიტსბურგი) 85(27+58), ტორნტონი (ბოსტონი) 81(32+49), ფორსბერგი (კოლორადო) 81(21+60), ჰეიდუკი (კოლორადო) 77(39+38), ბერტუცი (ვანკუვერი) 74(35+39), კოვალიოვი (რეინჯერსი) 73(33+40), დემიტრა (სენტ ლუისი) 72(27+45), მოდანო (დალასი) 72(26+46), მოგილნი (ტორონტო) 70(27+43), იაგრი (ვაშინგტონი) და მიურეი (ბოსტონი) 69(34+35), პალფი (ლოს ანჯელესი) 68(29+39), ალფრედსონი (ოტავა) 65(23+42), კარია (ანაჰაიმი) 64(24+40)



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# სამბა, შეჯიბრი და ბურთი

რიო დე ჟანეიროს სამბადრომზე კარნავალია გახურებული. ეს მოტორტმანე და მოცახცახე ვნება რა სპორტია, იკითხავთ თქვენ და ერთგვარად მართალიც იქნებით. მაგრამ კარნავალი იმავდროულად სამბას სკოლების შეჯიბრიც გახლავთ და ყოველ წელიწადს თავისი ჩემპიონი გუნდიც ჰყავს. ეს ლამაზმანი ლუიზა ბრუნედი გახლავთ, რომელიც „იმპერატრიც ლეოპოლდინენსეს" სკოლის გუნდის წევრია. ექსპერტები კი ამბობენ, რომ წლეულს სამბას „პადრე მიგელის" სკოლა მოიგებს. აქ ყოველ სასკოლო გუნდს თავისი მუღამი აქვს და ტახტრევანსაც თავის გემოზე გააწყობს ხოლმე. „ტრადისაოს" მოცეკვავეთა ტახტრევანს მთავარ ფიგურად რონალდო დაუხატავს და ასე შემოვლებულა ალლუმზე. „ტრადისაოს" გუნდში მოცეკვავეთა შორის ყოფილა ცალფეხა ფერნანდო არაუჯო, რომელსაც ბურთის კენწვლით გაუვლია მთელი სამბადრომი.





REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# ამ უქმეებზე

ამ უქმეებზე ავსტრალიაში ფორმულის სეზონი იხსნება და სიდნეიში „იაგუარის" გუნდმა მედიას თავისი ახალი პილოტი ანტონიო პიცონია წარუდგინა. დღეს კი მელბურნში „მინარდის" გუნდის პრეზენტაცია გაიმართება. ავსტრალიის დიდი პრიზი კი პატრონს ელის.




REUTERS სიდნეიდან



REUTERS სანქტ-პეტერბურგიდან

# სტუმრად სამშობლოში

ბარე ოცდახუთ წელიწადს არ ყოფილან სამშობლოში ფიგურული სრიალის რუსი ოლიმპიური ჩემპიონები ლუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი. 1979 წელს ისინი შვეიცარიაში დარჩნენ და საბჭოეთიდან გახიზნულნი ახლაღა ეწვივნენ რუსეთს. მოხუცებმა პეტერბურგის „იუბილეინის" ყინულზეც კი გაილივლივეს, სადაც ფიგურული სრიალის დიდი პრიზის გათამაშება მოეწყო.



REUTERS სანქტ-პეტერბურგიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარიჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაიელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, პარიკო ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge